შპს "ატლას ჰოლდინგი"

2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8-9
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ატლას ჰოლდინგის“-ის მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ატლას ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიისა და ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ ვასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის და ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია და ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"
24 იანვარი 2025 წელი

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საბუღალტრო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია და ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"
24 იანვარი 2025 წელი

'000 ლარი	შენიშვნები	ჯგუფი		კომპანია	
		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	10	41,060	35,196	-	-
აქტივები გამოყენების უფლებით	17	6,507	5,100	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი		1,058	740	-	-
გადახდილი ავანსები		250	250	-	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	21	-	-	1,023,278	997,585
გაცემული სესხები		-	-	7,484	-
არამატერიალური აქტივები	11	110,425	129,820	372	-
გუდვილი	11	222,005	221,820	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**381,305**	**392,926**	**1,031,134**	**997,585**
მოკლევადიანი აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	43,665	50,276	713	-
საგადასახადო აქტივები და წინასწარ გადახდილი სანებართვო მოსაკრებლები	19	14,294	12,972	3,848	-
მარაგები		632	723	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	160,007	131,183	1,019	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		**218,598**	**195,154**	**5,580**	**-**
სულ აქტივები		**599,903**	**588,080**	**1,036,714**	**997,585**
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი	14				
განთავსებული კაპიტალი		-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის შეძენის რეზერვი		(597,775)	(597,775)	-	-
კაპიტალში შენატანების რეზერვი		9,715	6,077	-	-
კონვერტაციის რეზერვი		9,112	45,971	(20,114)	(34,383)
გაუნაწილებელი მოგება		259,232	192,422	264,783	184,702
სულ კაპიტალი		**(319,716)**	**(353,305)**	**244,669**	**150,319**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	17	6,203	4,878	-	-
გრძელვადიანი სესხები		790,641	-	790,641	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**796,844**	**4,878**	**790,641**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	17	1,709	1,550	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	81,415	51,402	1,404	223
მომხმარებელთა ნაშთები	18	12,291	11,249	-	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	18	165	93	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	19	27,195	25,170	-	-
სესხები და კრედიტები	20	-	847,043	-	847,043
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**122,775**	**936,507**	**1,404**	**847,266**
სულ ვალდებულებები		**919,619**	**941,385**	**792,045**	**847,266**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**599,903**	**588,080**	**1,036,714**	**997,585**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-62 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნები	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
შემოსავალი	5	751,173	706,247	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	6(b)	(294,996)	(265,043)	-	-
საერთო მოგება		**456,177**	**441,204**	**-**	**-**
სხვა შემოსავალი	6(a)	1,229	1,645	137,056	81,450
მარკეტინგის ხარჯები	6(c)	(128,427)	(116,381)	-	-
სახელფასო ხარჯები	7	(76,441)	(70,096)	-	-
ლიცენზიები და ფიქსირებული სათამაშო ხარჯები	6(d)	(13,524)	(13,870)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(e)	(35,551)	(38,753)	(123)	(112)
სხვა ხარჯები	6(f)	(6,015)	(1,210)	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები		**(259,958)**	**(240,310)**	**(123)**	**(112)**
კორექტირებული EBITDA	9	**197,448**	**202,539**	**136,933**	**81,338**
ცვეთა და ამორტიზაცია		(47,364)	(46,744)	(52)	-
საოპერაციო მოგება		**150,084**	**155,795**	**136,881**	**81,338**
ფინანსური შემოსავალი		6,880	4,267	521	545
ფინანსური ხარჯები		(63,407)	(18,471)	(57,321)	(17,696)
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	**(56,527)**	**(14,204)**	**(56,800)**	**(17,151)**
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**93,557**	**141,591**	**80,081**	**64,187**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(22,150)	(23,541)	-	-
წლის მოგება		**71,407**	**118,050**	**80,081**	**64,187**
მოგება, რომელიც მიკუთვნებადია:					
კომპანიის კაპიტალის მფლობელებზე		71,407	86,187	80,081	64,187
არამაკონტროლებელ წილზე		-	31,863	**-**	**-**
სხვა სრული შემოსავალი ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში					
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები		(36,859)	123,007	14,269	(29,943)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(36,859)**	**123,007**	**14,269**	**(29,943)**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**34,548**	**241,057**	**94,350**	**34,244**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:					
კომპანიის კაპიტალის მფლობელებს		34,548	207,919	94,350	34,244
არამაკონტროლებელ წილს		-	33,138	-	-

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერს:

დირექტორი
არჩილ დავლიანიძე

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11 - 62 გვერდებზე

'000 ლარი	შენიშვნები	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
შემოსავალი	5	751,173	706,247	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	6(b)	(294,996)	(265,043)	-	-
საერთო მოგება		456,177	441,204	-	-
სხვა შემოსავალი	6(a)	1,229	1,645	137,056	81,450
მარკეტინგის ხარჯები	6(c)	(128,427)	(116,381)	-	-
სახელფასო ხარჯები	7	(76,441)	(70,096)	-	-
ლიცენზიები და ფიქსირებული სათამაშო ხარჯები	6(d)	(13,524)	(13,870)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(e)	(35,551)	(38,753)	(123)	(112)
სხვა ხარჯები	6(f)	(6,015)	(1,210)	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(259,958)	(240,310)	(123)	(112)
კორექტირებული EBITDA	9	197,448	202,539	136,933	81,338
ცვეთა და ამორტიზაცია		(47,364)	(46,744)	(52)	-
საოპერაციო მოგება		150,084	155,795	136,881	81,338
ფინანსური შემოსავალი		6,880	4,267	521	545
ფინანსური ხარჯები		(63,407)	(18,471)	(57,321)	(17,696)
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	(56,527)	(14,204)	(56,800)	(17,151)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		93,557	141,591	80,081	64,187
მოგების გადასახადის ხარჯი	19	(22,150)	(23,541)	-	-
წლის მოგება		71,407	118,050	80,081	64,187
მოგება, რომელიც მიკუთვნებადია:					
კომპანიის კაპიტალის მფლობელებზე		71,407	86,187	80,081	64,187
არამაკონტროლებელ წილზე		-	31,863	-	-
სხვა სრული შემოსავალი ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში					
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები		(36,859)	123,007	14,269	(29,943)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(36,859)	123,007	14,269	(29,943)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		34,548	241,057	94,350	34,244
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:					
კომპანიის კაპიტალის მფლობელებს		34,548	207,919	94,350	34,244
არამაკონტროლებელ წილს		-	33,138	-	-

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერს:

დირექტორი
არჩილ დავლიანიძე

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11 - 62 გვერდებზე

ჯგუფი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი კაპიტალი/(დეფიციტი)							
'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილის შეძენის რეზერვი	კაპიტალში შენატანების რეზერვი	კონვერტაციის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	-	3,446	(75,761)	106,235	33,920	115,920	149,840
მთლიანი სრული შემოსავალი								
წლის მოგება	-	-	-	-	86,187	86,187	31,863	118,050
სხვა სრული შემოსავალი								
უცხოური ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები (იხილეთ შენიშვნა 14 (d))	-	-	-	121,732	-	121,732	1,275	123,007
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**121,732**	**-**	**121,732**	**1,275**	**123,007**
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**-**	**-**	**121,732**	**86,187**	**207,919**	**33,138**	**241,057**
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრესთან								
ოპერაციები, რომლებიც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს - უფლების გადაცემა	-	-	2,631	-	-	2,631	1,068	3,699
არამაკონტროლებელი წილის შეძენა	-	(597,775)	-	-	-	(597,775)	(128,076)	(725,851)
დივიდენდები (შენიშვნა 14(c))	-	-	-	-	-	-	(22,050)	(22,050)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(597,775)**	**6,077**	**45,971**	**192,422**	**(353,305)**	**-**	**(353,305)**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(597,775)	6,077	45,971	192,422	(353,305)	-	(353,305)
მთლიანი სრული შემოსავალი								
წლის მოგება	-	-	-	-	71,407	71,407	-	71,407
სხვა სრული შემოსავალი								
უცხოური ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები (იხილეთ შენიშვნა 14 (d))	-	-	-	(36,859)	-	(36,859)	-	(36,859)
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	(36,859)	**-**	(36,859)	**-**	(36,859)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**-**	**-**	**(36,859)**	**71,407**	**34,548**	**-**	**34,548**
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრესთან								
ოპერაციები, რომლებიც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს - უფლების გადაცემა	-	-	3,638	-	-	3,638	-	3,638
დივიდენდები (შენიშვნა 14(c))	-	-	-	-	(4,597)	(4,597)	-	(4,597)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(597,775)**	**9,715**	**9,112**	**259,232**	**(319,716)**	**-**	**(319,716)**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-62 გვერდებზე.

კომპანია

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	კონვერტაციის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(4,440)	120,515	116,075
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	64,187	64,187
სხვა სრული ზარალი				
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები (შენიშვნა 14(d))	-	(29,943)	-	(29,943)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**-**	**(29,943)**	**64,187**	**34,244**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(34,383)**	**184,702**	**150,319**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(34,383)	184,702	150,319
მთლიანი სრული შემოსავალი				
წლის მოგება	-	-	80,081	80,081
სხვა სრული ზარალი				
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები (შენიშვნა 14(d))	-	14,269	-	14,269
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	**14,269**	**80,081**	**94,350**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	**(20,114)**	**264,783**	**244,669**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-62 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან					
მოგება დაბეგვრამდე		93,557	141,591	80,081	64,187
კორექტირებები:					
ცვეთა და ამორტიზაცია		47,364	46,744	52	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსულობა		(231)	(222)	-	-
ფასს 16 ხელშეკრულებების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი		(120)	443	-	-
თანამშრომელთა კაპიტალის ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებული წილობრივი გადახდების ხარჯი		3,638	3,699	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯები		56,527	14,204	56,800	17,151
		200,735	**206,459**	**136,933**	**81,338**
ცვლილებები:					
მარაგებში		91	(220)	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		8,192	2,672	13,119	(81,450)
ლიცენზიისთვის შეზღუდულ ფულად სახსრებში		-	2,024	-	-
გადახდილ ავანსებში		-	158	-	-
საგადასახადო ვალდებულებებსა და საგადასახადო აქტივებში		310	7,872	(290)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		24,001	4,321	(922)	112
წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებში		72	(49)	-	-
მომხმარებელთა ნაშთებში		1,042	1,431	-	-
საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადისა და პროცენტის გადახდამდე		**234,443**	**224,668**	**148,840**	**-**
გადახდილი პროცენტი		(882)	(775)	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(26,672)	(25,686)	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**206,889**	**198,207**	**148,840**	**-**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან					
მიღებული პროცენტი		6,880	3,717	89	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		12	95	-	-
შერწყმისას შეძენილი ფულადი სახსრები		-	-	1,576	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(19,562)	(13,170)	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(13,965)	(12,041)	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(26,635)**	**(21,399)**	**1,665**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან					
სესხების და კრედიტების დაფარვა	20	(148,854)	(81,450)	(148,854)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	17	(1,702)	(1,721)	-	-
არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდები	14 (c)	-	(22,050)	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(150,556)**	**(105,221)**	**(148,854)**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**29,698**	**71,587**	**1,651**	**-**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		131,183	63,924	-	-
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(874)	(4,328)	(632)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	**160,007**	**131,183**	**1,019**	**-**

არსებითი არაფულადი ერთეულები წარმოდგენილია შენიშვნებში 14(c), 20(a)(ii) და 21(a)(i)(b).

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 11-62 გვერდებზე.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	12
2.	აღრიცხვის საფუძველი	14
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	14
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	15
5.	შემოსავალი	16
6.	ხარჯები და სხვა შემოსავალი	17
7.	სახელფასო ხარჯები	19
8.	წმინდა ფინანსური ხარჯები	20
9.	კორექტირებული შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის გამოკლებამდე (კორექტირებული EBITDA)	20
10.	ძირითადი საშუალებები	21
11.	არამატერიალური აქტივები და გუდვილი	22
12.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
13.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
14.	კაპიტალი	24
15.	კაპიტალის მართვა	25
16.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
17.	იჯარები	26
18.	მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	28
19.	გადასახადები	29
20.	სესხები და კრედიტები	30
21.	ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	32
22.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	35
23.	პირობითი ვალდებულებები	41
24.	დაკავშირებული მხარეები	42
25.	შემდგომი მოვლენები	44
26.	შეფასების საფუძველი	45
27.	არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	45
28.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	62

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, ხოლო ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება ძირითადად საქართველოსა და სომხეთში (იხ. შენიშვნა 1(b)). შესაბამისად, კომპანიასა და ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში და სომხეთში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში და სომხეთში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა საქართველოს და სომხეთის ბიზნეს გარემოში.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის ომის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება სამომავლო გაურკვევლობებს ეკონომიკაში, ზემოთ აღწერილის მიხედვით.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს და სომხეთის ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის და კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში, „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს შპს „ატლას ჰოლდინგის“ (კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად მოხსენიებული როგორც ჯგუფი და ცალ-ცალკე როგორც ჯგუფის საწარმოები) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს "ატლას ჰოლდინგი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და იურიდიული პირის სახით 2019 წლის 30 იანვარს დარეგისტრირდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქუჩა N55 და კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404572789.

კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს საქართველოს, სომხეთის და კვიპროსის შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობების მიხედვით.

კომპანია ფუნქციონირებს, როგორც ჯგუფის საწარმოების ჰოლდინგური კომპანია, რომელიც ძირითადად სათამაშო ინდუსტრიაში საქმიანობს. ჯგუფის მიერ შეთავაზებული ძირითადი პროდუქტებია: ონლაინ კაზინო, ონლაინ ტოტალიზატორი და ონლაინ peer-to-peer თამაშები. ჯგუფი მის მომხმარებლებს სთავაზობს პლატფორმას ონლაინ თამაშებისთვის შემდეგი ვებგვერდების საშუალებით: www.adjarabet.com საქართველოში და www.adjarabet.am სომხეთში.

ჯგუფი ამუშავებს 13 სალაროს და 5 ბანკომატს საქართველოს ტერიტორიაზე.

2019 წლის 30 იანვარს, კომპანია დარეგისტრირდა "TSE Holdings Limited"-ის მიერ (მშობელი კომპანია). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის "Flutter Entertainment PLC", მსოფლიოს ერთ–ერთი უმსხვილესი სპორტული ფსონებისა და სათამაშო ბიზნესის ჯგუფი, რომელიც ოპერირებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში. საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი ძირითადი ლისტინგი ლონდონის საფონდო ბირჟაზეა, ხოლო მეორადი ლისტინგი - ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე.

შემდეგი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მიერ გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

საკუთრების წილი (%) 31 დეკემბერს	**2023**	**2022**
„The Capital Group Companies, Inc.“	16.1%	14.56%
„Caledonia (Private) Investments Pty Limited“	9.9%	9.99%
„Parvus Asset Management Europe Limited“	6.1%	7.20%
„BlackRock Inc.“	5.9%	6.62%

სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ განთავსებული აქციების 3%-ზე ნაკლებს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ პირდაპირ და არაპირდაპირ შვილობილ კომპანიებს:

პირდაპირი შვილობილი კომპანიები	**ძირითადი საქმიანობა**	**საკუთრების წილი 31 დეკემბერი 2023**	**საკუთრების წილი 31 დეკემბერი 2022**	**პირდაპირი მშობელი კომპანია**
შპს "ატლასი"*	ჰოლდინგური კომპანია	-	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი"
შპს "ავიატორი"*	ონლაინ კაზინოების და ტოტალიზატორის ოპერატორი საქართველოში	100%	100%	შპს „ატლას ჰოლდინგი“ (2023 წლის 6 აპრილიდან)
შპს "აჭარაფეი"*	საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საქართველოში	100%	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)
შპს „მოთამაშე“*	ნაკადური გადაცემის („სტრიმინგი“) მომსახურების პროვაიდერი საქართველოში	100%	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)
"Labranza Limited"*	ტოტალიზატორის ოპერატორი კვიპროსში	100%	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)
შპს "აკორა"*	ჰოლდინგური კომპანია სომხეთში	100%	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)
შპს "კომრა"*	ჰოლდინგური კომპანია სომხეთში	100%	100%	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)
შპს „Advanced Systems“ (შენიშვნა 11)*	კაზინოს თამაშებისა და ონლაინ სპორტული ფსონების პლატფორმის მომწოდებელი საქართველოში	100%	-	შპს "ატლას ჰოლდინგი" (2023 წლის 6 აპრილიდან)

არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი 31 დეკემბერი 2023	საკუთრების წილი 31 დეკემბერი 2022	პირდაპირი მშობელი კომპანია
„Skygulf limited“**	არა-აქტიური კომპანია	-	100%	შპს "ავიატორი"
შპს „კაბარკო“	ონლაინ კაზინოების და ტოტალიზატორის ოპერატორი სომხეთში	100%	100%	შპს „აბარკო"
შპს „აბარკო"	ჰოლდინგური კომპანია	50%/50%	50%/50%	შპს „აკორა“/შპს „კომრა“

** 2023 წლის 6 აპრილს, შპს „ატლას ჰოლდინგი“ შეერწყა მის პირდაპირ შვილობილ კომპანიას, შპს „ატლასს“, რის შედეგადაც შპს „ატლას ჰოლდინგი“, როგორც გადარჩენილი საწარმო, შპს „ატლასის“ შვილობილი კომპანიების პირდაპირი მშობელი კომპანია გახდა (იხ. შენიშვნა 21(ბ)).*

*** 2023 წლის 30 მაისს, „Skygulf Limited“ ლიკვიდირდა.*

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 24-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ვალუტაში - ქართული ლარი.

იმ შვილობილი კომპანიების შედეგები და ფინანსური მდგომარეობა, რომელთა სამუშაო ვალუტა განსხვავდება წარსადგენი ვალუტისგან (ადგილობრივი შვილობილი კომპანიების სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, ხოლო სომხეთის შვილობილი კომპანიების - სომხური დრამი) კონვერტირებულია წარსადგენ ვალუტაში შემდეგი პროცედურების გამოყენებით:

- აქტივები და ვალდებულებები თითოეული წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, გარდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გუდვილისა და არამატერიალური აქტივებისა, კონვერტირებულია აღნიშნული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; უცხოური ოპერაციის საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებული გუდვილი და არამატერიალური აქტივები დენომინირებულია ლარში;
- შემოსავალი და ხარჯები თითოეული წარმოდგენილი სრული შემოსავლის ანგარიშგებისთვის კონვერტირებულია გარიგებების თარიღებისთვის არსებული გაცვლითი კურსებით; და

- ყველა გაცვლითი კურსით გამოწვეული სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია კონვერტაციის რეზერვში. კონვერტაციის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

  - 2023 წლის საშუალო გაცვლითი კურსი: 3.2671 ლარი 1 ფუნტი სტერლინგისთვის;
  - 2023 წლის 31 დეკემბრისთვის: 3.4228 ლარი 1 ფუნტი სტერლინგისთვის;
  - 2022 წლის საშუალო გაცვლითი კურსი: 3.6181 ლარი 1 ფუნტი სტერლინგისთვის;
  - 2022 წლის 31 დეკემბრისთვის: 3.2581 ლარი 1 ფუნტი სტერლინგისთვის;

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 27(b) – შემოსავლის აღიარება;
- შენიშვნა 27(j) - საწარმოთა გაერთიანებისას გამოვლენილი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.
- შენიშვნა 21(ბ) – შერწყმის აღრიცხვა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 11 - გუდვილის შემცველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურებაზე ტესტირება
- შენიშვნა 21(c) - შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურებაზე ტესტირება;

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის/კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 22 - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
შემოსავალი კაზინოდან და ტოტალიზატორიდან				
წმინდა შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	688,737	634,735	-	-
შემოსავალი ტოტალიზატორიდან	59,944	59,758	-	-
სულ შემოსავალი კაზინოდან და ტოტალიზატორიდან	**748,681**	**694,493**	**-**	**-**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან				
წმინდა შემოსავალი ონლაინ peer-to-peer თამაშებიდან	27,415	24,880	-	-
სხვა შემოსავალი*	14,525	9,944	-	-
შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან	1,252	1,586	-	-
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**43,192**	**36,410**	**-**	**-**
ზოგადი ბონუსების ხარჯები	(40,700)	(24,656)	-	-
სულ შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან	**751,173**	**706,247**	**-**	**-**

* სხვა შემოსავალი მოიცავს კლიენტების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოებს 14,483 ათასი ლარის ოდენობით (2022: 9,905 ათასი ლარი).

შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოსა და სომხეთში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება.

შემოსავლის ჩაშლა:

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები				
საქართველო	403,948	352,743	-	-
სომხეთი	347,225	353,504	-	-
სულ შემოსავალი	**751,173**	**706,247**	**-**	**-**

ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულებების მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 27(b).

6. ხარჯები და სხვა შემოსავალი

(a) სხვა შემოსავალი

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი (შენიშვნა 14(c))	-	-	137,056	81,450
ფასს 16 ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებული შემოსულობა	118	-	-	-
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	231	222	-	-
სხვა შემოსავალი*	880	1,423	-	-
	1,229	**1,645**	**137,056**	**81,450**

*ჯგუფის სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფ დაკავშირებული მხარის საწარმოებზე გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას უკავშირდება (იხ. შენიშვნა 24(c)).

(b) გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ონლაინ კაზინოს თამაშები	**183,200**	**148,782**	-	-
თამაშების მომწოდებლის ხარჯები	**103,373**	**98,962**	-	-
*არა-ანაზღაურებადი გადასახადები**	79,827	49,820	-	-
ტოტალიზატორის თამაშები	**24,446**	**26,984**	-	-
*გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე**	15,967	16,918	-	-
სხვა	8,479	10,066	-	-
ონლაინ peer-to-peer თამაშები	**3,368**	**3,282**	-	-
თამაშების მომწოდებლის ხარჯები	3,269	3,250	-	-
არა-ანაზღაურებადი გადასახადები	99	32	-	-
ზოგადი გაყიდვების თვითღირებულება	**4,396**	**3,224**		
კლიენტთა გადახდების დამუშავების საფასური	**79,586**	**82,771**	-	-
	294,996	**265,043**	**-**	**-**

*2022 წლის იანვრიდან, ონლაინ კაზინოდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმს საქართველოში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ("GTC") მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმის მიხედვით, რომელიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან, განაწილებული მოგების დაბეგვრის ნაცვლად, მთლიანი სათამაშო შემოსავალი (ანუ სხვაობა მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გადახდილ მოგებას შორის) ონლაინ კაზინოს თამაშებიდან იბეგრება 10%-ით. გარდა ამისა, ონლაინ სპორტული ფსონებიდან მიღებული შემოსავალი ექვემდებარება მსგავს სპეციალურ დაბეგვრის რეჟიმს, სადაც განაწილებული მოგების დაბეგვრის ნაცვლად, ონლაინ სპორტული ფსონების საქმიანობა იბეგრება 7%-ით მთლიანი შემოსავლის (ანუ მიღებული ფსონების) მიხედვით (იხ. ასევე შენიშვნა 27(h)(iii)).

ამასთანავე, 2023 წლის 1 ივლისიდან, საგადასახადო ორგანოებმა სომხეთის აზარტული თამაშების კომპანიებს ახალი რეგულაციები დაუწესეს, რომელთა მიხედვითაც აზარტული თამაშების ოპერატორებმა უნდა გადაიხადონ სახელმწიფო გადასახადი ონლაინ კაზინოსთვის, peer-to-peer და ტოტალიზატორის თამაშებისთვის. 2023 წლის განმავლობაში, ჯგუფმა ფსონების მისაღებად 13,981 ათასი ლარის ოდენობით ჯამური საკომისიო გადაიხადა.

გაყიდვების თვითღირებულების ჩაშლა:

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები				
საქართველო	181,385	150,097	-	-
სომხეთი	113,611	114,946	-	-
	294,996	**265,043**	**-**	**-**

(c) მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
მომხმარებელთა წამახალისებელი გათამაშების ხარჯები *	110,585	85,937	-	-
სარეკლამო ხარჯები	4,379	17,041	-	-
სხვა მარკეტინგის ხარჯები**	13,463	13,403	-	-
	128,427	**116,381**	**-**	**-**

*მომხმარებელთა წამახალისებელი გათამაშების ხარჯები წარმოადგენს წახალისებებს, რომლებიც კომპანიის ზოგად მარკეტინგულ საქმიანობას უკავშირდება, რადგან ისინი არ არის პირდაპირ დაკავშირებული კლიენტის სათამაშო საქმიანობასთან და ზოგადი მარკეტინგული ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს (ახალი კლიენტების მოზიდვა). აღნიშნული წარმოადგენს სარეკლამო ხარჯებს, რომლებიც გაწეულია პოტენციური მომხმარებლების წინაშე ბიზნესის ცნობადობის, რეკლამის ან საერთო მიმზიდველობის ასამაღლებლად.

2022 წლის 1 მარტიდან, საქართველოში აზარტული თამაშების ორგანიზატორებს ეკრძალებათ რაიმე სახის რეკლამის განთავსება, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით და გარე რეკლამა, გარკვეული გამონაკლისებით (როგორიცაა ადგილობრივად ლიცენზირებული სათამაშო ოპერატორის ვებ-გვერდი და ა.შ.).

** სხვა მარკეტინგული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული მხარის კომპანიებზე გაწეული სპონსორობის ხარჯებისგან შედგება (იხ. შენიშვნა 24(c)).

(d) ლიცენზიები და ფიქსირებული სათამაშო ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
სათამაშო ლიცენზიები და მოსაკრებელი სახელმწიფოს მიმართ	10,412	10,371	-	-
ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები	3,112	3,499	-	-
	13,524	**13,870**	**-**	**-**

(e) სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ტექნოლოგიური მომსახურების ხარჯები	12,383	14,120	-	-
კომუნიკაციის ხარჯები	6,071	6,680	-	-
ხელმძღვანელობის კონსულტაცია*	5,093	3,885	-	-
პროფესიული მომსახურება**	3,734	3,314	122	112
სამივლინებო ხარჯები	1,451	925	-	-
საოფისე მარაგები	960	1,094	-	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	948	3,050	-	-
კომუნალური ხარჯები	597	768	-	-
უსაფრთხოება	546	1,133	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	358	472	-	-
ბანკის საკომისიო	287	379	1	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	3,123	2,933	-	-
	35,551	**38,753**	**123**	**112**

* ხელმძღვანელობის კონსულტაცია წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელი მხარისგან მიღებულ კორპორატიულ საკონსულტაციო მომსახურებას.

** პროფესიულ მომსახურებაში შეტანილია აუდიტორული ფირმისთვის აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის გადახდილი საფასური 608 ათასი ლარის ოდენობით, გადასახადების ჩათვლით (2022: 730 ათასი ლარი).

(f) სხვა ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ფასს 16 ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებული ზარალი	-	443	**-**	**-**
სხვა ხარჯები*	6,015	767	-	-
	6,015	**1,210**	-	-

* 2023 წლის განმავლობაში, სხვა ხარჯები ძირითადად უკავშირდება 4,445 ათასი ლარის ჯამური ოდენობით გადახდილი ავანსების და მოთხოვნების ჩამოწერას და 1,459 ათასი ლარის ოდენობით „E-Wallet" პროდუქტთან დაკავშირებული განვითარების დანახარჯების ჩამოწერით განპირობებულ ზარალს (შენიშვნა 11).

7. სახელფასო ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოები	72,772	65,855	-	-
კაპიტალის ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებული წილობრივი გადახდები (შენიშვნა 14(b))	3,669	4,241	-	-
	76,441	**70,096**	**-**	**-**

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყენებს მოკლევადიანი სტიმულირების პროგრამებს კაპიტალის ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით ყველა თანამშრომლისთვის, რის მიხედვითაც მათ პირობითად ენიჭებათ წილები, რომლებიც მომავალი მომსახურების პერიოდებზე გადადის. სამართლიანი ღირებულება ფასდება ჯილდოს მინიჭების თარიღისთვის და ნაწილდება პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლებს ექნებათ უპირობო უფლება წილებზე კაპიტალში წილობრივი გადახდის რეზერვის შესაბამისი ზრდით. პირობითად მინიჭებული წილების სამართლიანი ღირებულება ფასდება წილების საბაზრო ფასის გამოყენებით, მინიჭების თარიღისთვის.

8. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	ჯგუფი 2023	ჯგუფი 2022	კომპანია 2023	კომპანია 2022
აღიარებული მოგებაში ან ზარალში				
საპროცენტო შემოსავალი	6,880	3,717	521	-
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	-	550	-	545
ფინანსური შემოსავალი	**6,880**	**4,267**	**521**	**545**
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(55,920)	(17,702)	(55,920)	(17,696)
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(882)	(769)	-	-
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(6,605)	-	(1,401)	-
ფინანსური ხარჯები	**(63,407)**	**(18,471)**	**(57,321)**	**(17,696)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(56,527)**	**(14,204)**	**(56,800)**	**(17,151)**

9. კორექტირებული შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის გამოკლებამდე (კორექტირებული EBITDA)

ხელმძღვანელობამ წარმოადგინა კომპანიის საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებელი - კორექტირებული EBITDA, რადგან ხელმძღვანელობა აღნიშნული მაჩვენებლის მონიტორინგს ახორციელებს და მიაჩნია, რომ ის მნიშვნელოვანია ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომაროების გასაგებად.

კორექტირებული EBITDA არ წარმოადგენს ფასს-ში განსაზღვრულ საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებელს. კორექტირებული EBITDA-ს ჯგუფისეული/კომპანიისეული განმარტება შეიძლება არ იყოს შესადარისი სხვა საწარმოების მსგავსად შედგენილ საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებლებთან და ახსნა-განმარტებებთან.

10. ძირითადი საშუალებები

ჯგუფი	კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა**	სულ
'000 ლარი					
თვითღირებულება					
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	30,443	4,424	238	14,052	49,157
შესყიდვები	5,547	2,019	-	5,604	13,170
გასვლები	(281)	(708)	-	(1)	(990)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	178	29	-	99	306
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**35,887**	**5,764**	**238**	**19,754**	**61,643**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	35,887	5,764	238	19,754	61,643
შესყიდვები*	16,613	398	-	2,551	19,562
გასვლები	(60)	(197)	-	(381)	(638)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	(203)	(33)	-	(81)	(317)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**52,237**	**5,932**	**238**	**21,843**	**80,250**
ცვეთა					
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(12,908)	(2,097)	(114)	(1,462)	(16,581)
წლის ცვეთა	(6,473)	(1,007)	(32)	(3,043)	(10,555)
გასვლები	227	633	-	-	860
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	(98)	(19)	-	(54)	(171)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**(19,252)**	**(2,490)**	**(146)**	**(4,559)**	**(26,447)**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(19,252)	(2,490)	(146)	(4,559)	(26,447)
წლის ცვეთა	(8,615)	(1,017)	(32)	(3,707)	(13,371)
გასვლები	51	127	-	328	506
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	73	14	-	35	122
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**(27,743)**	**(3,366)**	**(178)**	**(7,903)**	**(39,190)**
საბალანსო ღირებულებები					
2022 წლის 1 იანვარს	**17,535**	**2,327**	**124**	**12,590**	**32,576**
2022 წლის 31 დეკემბერს	**16,635**	**3,274**	**92**	**15,195**	**35,196**
2023 წლის 31 დეკემბერს	**24,494**	**2,566**	**60**	**13,940**	**41,060**

* შესყიდვები 2023 წელს ძირითადად სომხეთში ახალი სათაო ოფისისთვის IT აღჭურვილობის შეძენას უკავშირდება.

**2022 წელს, მუხლი „სხვა“ ძირითადად შედგება საიჯარო გაუმჯობესებისგან, რაც წარმოადგენს სათავო ოფისის ახალ შენობასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს. შპს „სითი ლოფტისგან“ იჯარით აღებული ახალი საოფისე შენობის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები 2022 წლის 1 მარტს დასრულდა.

11. არამატერიალური აქტივები და გუდვილი

ჯგუფი '000 ლარი	გუდვილი (შენიშვნა 21(a))	ბრენდი (შენიშვნა 21 (a))	ურთიერთობები კლიენტებთან (შენიშვნა 21 (a))	პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	განვითარების ხარჯები	სხვა	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	221,820	161,283	98,093	9,920	11,940	665	503,721
შესყიდვები	-	-	-	4,108	7,933	-	12,041
გასვლები	-	-	-	(453)	(888)	-	(1,341)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	-	-	-	(1)	73	-	72
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**221,820**	**161,283**	**98,093**	**13,574**	**19,058**	**665**	**514,493**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	221,820	161,283	98,093	13,574	19,058	665	514,493
შესყიდვები*	185	-	-	3,235	10,730	-	14,150
გასვლები**	-	-	-	(7)	(2,372)	-	(2,379)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	-	-	-	(54)	(128)	55	(127)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**222,005**	**161,283**	**98,093**	**16,748**	**27,288**	**720**	**526,137**
ამორტიზაცია							
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(47,040)	(75,769)	(2,455)	(4,640)	(195)	(130,099)
ამორტიზაციის დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(16,128)	(9,795)	(3,238)	(4,167)	(66)	(33,394)
გასვლები	-	-	-	216	274	-	490
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	-	-	-	(8)	158	-	150
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(63,168)**	**(85,564)**	**(5,485)**	**(8,375)**	**(261)**	**(162,853)**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(63,168)	(85,564)	(5,485)	(8,375)	(261)	(162,853)
ამორტიზაციის დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(16,128)	(6,122)	(4,008)	(5,716)	(68)	(32,042)
გასვლები	-	-	-	1	1,148	-	1,149
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	-	-	-	34	30	(25)	39
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(79,296)**	**(91,686)**	**(9,458)**	**(12,913)**	**(354)**	**(193,707)**
საბალანსო ღირებულებები							
2022 წლის 1 იანვარს	**221,820**	**114,243**	**22,324**	**7,465**	**7,300**	**470**	**373,622**
2022 წლის 31 დეკემბერს	**221,820**	**98,115**	**12,529**	**8,089**	**10,683**	**404**	**351,640**
2023 წლის 31 დეკემბერს	**222,005**	**81,987**	**6,407**	**7,290**	**14,375**	**366**	**332,430**

* 2023 წელს, ჯგუფმა შეიძინა შპს „Advanced Systems"-ის 100%-იანი წილი „Paddy Power Holdings limited"-ისგან. გარიგების ფასი 1,200 ათას ლარს შეადგენდა. სხვაობა გადაცემულ ანაზღაურებასა და წმინდა შეძენილ აქტივებს შორის აღირიცხა, როგორც გუდვილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**2023 წელს, E-wallet პროდუქტის შეჩერების გადაწყვეტილების შემდეგ, ყველა დაკავშირებული განვითარების ხარჯი იქნა ჩამოწერილი.

გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისთვის, შპს "ატლასის" შემენის შედეგად წარმოშობილი გუდვილი მიკუთვნებულია ჯგუფის მთლიან ოპერაციებზე. ჯგუფში არ არსებობს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უფრო დაბალი დონე, რომლისთვისაც ხდება შიდა მართვის მიზნებისთვის გუდვილის მონიტორინგი.

გუდვილის შემცველი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება დაფუძნებულია მის გამოყენებით ღირებულებაზე, რომელიც განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის უწყვეტი გამოყენების შედეგად გენერირებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე დიდი ოდენობით განისაზღვრა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურების ზარალი არ ყოფილა აღიარებული.

დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებში გამოყენებული ძირითადი დაშვებები:

ანაზღაურებადი ღირებულებების გამოთვლაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები არის დისკონტირების განაკვეთი და საპროგნოზო შემოსავლის ზრდის განაკვეთები და საპროგნოზო EBITDA-ს მარჟები. აღნიშნული დაშვებები არის შემდეგი:

(i) დისკონტირების განაკვეთი

გადასახადების შემდგომი ნომინალური დისკონტირების განაკვეთი 19.7%-ის ოდენობით, იქნა გამოყენებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში, რომელიც ასახავს კონკრეტულ რისკებს და შესაბამის ბიზნესთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ვალუტას.

(ii) საპროგნოზო შემოსავლის ზრდის განაკვეთი

პროგნოზირებულია, რომ შემოსავალი 2024 წელს 9%-ით გაიზრდება. 2025 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობა მოელის, რომ შემოსავალი 11%-ით გაიზრდება, შემდგომ 12%-იანი ზრდა იგეგმება 2026 წელს, 16%-იანი ზრდა 2027 წელს და 28%-იანი - 2028 წელს.

(iii) პროგნოზირებული კორექტირებული EBITDA-ს მარჟები

პროგნოზირებული კორექტირებული EBITDA შეფასდა არსებული ოპერაციების წარსული გამოცდილების საფუძველზე და შეესაბამება ხელმძღვანელობის მოლოდინებს ბაზრის განვითარებასთან და ბაზრის წილის ზრდასთან მიმართებაში. სავარაუდოდ, პროგნოზირებული კორექტირებული EBITDA-ს მარჟა, იქნება 21% 2024 წელს და დარჩება სტაბილური შემდგომ წლებში.

დაშვებებში ცვლილებების მიმართ მგრძნობელობა

გაუფასურების მოდელი არ არის განსაკუთრებით მგრძნობიარე რომელიმე დაშვების მიმართ. ხელმძღვანელობამ დისკონტირების განაკვეთის და კორექტირებული EBITDA-ს მარჟის ზრდის გაუფასურების მოდელის სტრეს-ტესტირება ჩაატარა. სტრეს-ტესტირებული ცვლილება (2%) დისკონტირების განაკვეთში და კორექტირებული EBITDA -ს მარჟის 2024 წლის დონეზე შენარჩუნება მთლიანი საპროგნოზო პერიოდისთვის, არ გამოიწვევდა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა დაწევას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ	30,661	30,747
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	6,014	13,252
სხვა მოთხოვნები	6,990	6,277
	43,665	**50,276**

ჯგუფის/კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ განხილულია 22-ე შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფი '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები სალაროში*	1,455	2,237
ფულადი სახსრები ბანკში	158,538	128,946
ფულადი სახსრები გზაში**	14	-
	160,007	**131,183**

*სომხეთის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, რომლებიც ძალაში 2022 წლის 8 დეკემბრიდან შედის, ყველა ტრანზაქცია მუშავდება საბანკო ანგარიშების ან საბანკო ბარათების საშუალებით.

**ფულადი სახსრები გზაში უკავშირდება საბანკო ანგარიშებიდან გატანილ, მაგრამ ბანკომატებში ჯერ არ ასახულ თანხებს.

ჯგუფის/კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 22-ე შენიშვნაში.

14. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

2023 წელს, კომპანიამ განაახლა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტები და განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად „საწესდებო კაპიტალის“ ცნება „განთავსებული კაპიტალით“ ჩაანაცვლა.

განთავსებული კაპიტალი - წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ კაპიტალის ოდენობას და ტოლია 100 ლარის, რაც წარმოადგენს 100 ერთეულის ოდენობით განთავსებულ აქციებს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალი ნულის ტოლი იყო.

(b) კაპიტალში შენატანების რეზერვი

კაპიტალში შენატანების რეზერვი წარმოადგენს ჯგუფის წილობრივი გადახდის რეზერვში შეტანილ ოდენობებს, რომლებიც საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ ჯგუფის თანამშრომლებზე გაცემულ წილობრივი გადახდების სარგებელს უკავშირდება.

(c) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი და სხვა შემოსავალში შეტანილია 136,971 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2022: 81,450 ათასი ლარი), რომლებიც მიღებულია შვილობილი კომპანიებისგან და გადამისამართებულია მშობელი კომპანიის მიმართ არსებული ვადადამდგარი სასესხო ვალდებულებების დასაფარად.

2022 წელს, ჯგუფმა ყოფილ არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე (შპს "სითი ლოფტი") გამოაცხადა და გადაიხადა 22,050 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები. 2023 წელს, ჯგუფს არ გამოუცხადებია დივიდენდები.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. დივიდენდები აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადების პერიოდში. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ უნდა შეინარჩუნოს იმ ოდენობით გასანაწილებელი რეზერვები, რომ მისი მთლიან აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და გამოწერილ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიას სჯერა, რომ მას აქვს დივიდენდების გამოცხადებისთვის საკმარისი გასანაწილებელი რეზერვები 2023 წელს.

(d) კონვერტაციის რეზერვი

კონვერტაციის რეზერვი მოიცავს ყველა უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეულ სხვაობებს, რომლებიც წარმოიშვება უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების კონვერტაციისას.

(e) არამაკონტროლებელი წილის შეძენის რეზერვი

არამაკონტროლებელი წილის შეძენის რეზერვი წარმოადგენს სხვაობას შპს „ატლასში“ 49%-იანი წილის შეძენისთვის გადახდილ ანაზღაურებასა და არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის, შეძენის თარიღისთვის (იხ. შენიშვნა 21(a)).

15. კაპიტალის მართვა

ჯგუფს/კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, ხელმძღვანელობა ცდილობს ჯგუფის/კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და ჯგუფის/კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში ჯგუფის/კომპანიის მიდგომის ცვლილებას.

ჯგუფზე/კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფი

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	39,478	36,365
სახელფასო ვალდებულებები	8,468	4,548
პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები*	5,393	3,391
ვალდებულებები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ	19,356	2,629
მიღებული ავანსები	-	113
მოგებული ჯილდოები	599	-
სხვა ვალდებულებები**	8,121	4,356
	81,415	**51,402**

* პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები აღიარდება იმ ჯეკპოტის ფონდებთან დაკავშირებით, რომლებიც შეგროვებულია, მაგრამ ჯერ არ არის განაწილებული კლიენტებზე, საანგარიშგებო თარიღისთვის.

**სხვა ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მიმართ, მისგან მიღებული 6,597 ათასი ლარის ღირებულების მმართველობითი საკონსულტაციო მომსახურებისთვის (2022: 4,113 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 6(e)).

კომპანია

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	204	111
მიღებული ავანსები	-	112
სხვა ვალდებულებები	1,200	-
	1,404	**223**

ჯგუფის/კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად საოფისე სივრცეების და სალაროების იჯარებს უკავშირდება.

საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. ლარში და აშშ დოლარში დენომინირებული საიჯარო გადახდებისათვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთები იყო 14% და 9%, შესაბამისად (2022: 14% და 9%, შესაბამისად).

(i) წლის გავლენა

ჯგუფი '000 ლარი	საოფისე და სალარო ფართები
აქტივები გამოყენების უფლებით	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	12,334
შესყიდვები	1,535
გასვლები*	(4,648)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	88
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**9,309**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	9,309
შესყიდვები**	3,953
საიჯარო ვადის გადაფასება ***	658
გასვლები	(2,554)
ჩამოწერები	(862)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	(95)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**10,409**
ცვეთა	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(4,018)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,961)
გასვლები*	1,840
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	(70)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**(4,209)**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(4,209)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,951)
გასვლები	1,189
ჩამოწერები	862
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	207
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**(3,902)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**8,316**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**5,100**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**6,507**

ჯგუფი '000 ლარი	
საიჯარო ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 1 იანვარს	9,615
შესყიდვები	1,535
გასვლები*	(2,326)
პროცენტის დარიცხვა	769
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(1,721)
გადახდილი პროცენტი	(769)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(706)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	31
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**6,428**
საიჯარო ვალდებულება 2023 წლის 1 იანვარს	6,428
შესყიდვები**	3,953
საიჯარო ვადის გადაფასება ***	658
გასვლები	(1,485)
პროცენტის დარიცხვა	882
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(1,702)
გადახდილი პროცენტი	(882)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(36)
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	96
საიჯარო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**7,912**

*2022 წელს, სათამაშო ბიზნესის რეგულაციაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რომელიც სხვასთან ერთად ზღუდავს სათამაშო საქმიანობის რეკლამას საქართველოში, შეწყდა სარეკლამო ფართების საიჯარო ხელშეკრულებები. საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტა აღირიცხა, როგორც „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებების კორექტირება, ხოლო წმინდა გავლენა აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში.

** დამატებები აქტივებზე გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებაზე ძირითადად სომხეთში ახალი სათაო ოფისის იჯარას უკავშირდება.

*** საიჯარო ვადის გადაფასება სალაროების იჯარების საიჯარო ვადის გახანგრძლივებას უკავშირდება, რომელთა ვადა 2023 წელს ამოიწურა.

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2023	2022
იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში		
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	882	769
მოდიფიცირებასთან/აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი	120	(482)

(iii) ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2023	2022
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა (-)	(1,702)	(1,721)
გადახდილი პროცენტი (-)	(882)	(769)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	**(2,584)**	**(2,490)**

18. მომხმარებელთა ნაშთები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომხმარებელთა ნაშთები	12,291	11,249
ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	165	93
	12,456	**11,342**

*ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომლებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ ჩატარებულა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და კომპანიის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც ჯგუფმა უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის ვადის დადგომისთვის. ტოტალიზატორის ფსონები არ არის პროცენტის მატარებელი, შესაბამისად, ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს თავიანთ ნაშთებზე.

19. გადასახადები

(a) საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფი '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
წინასწარ გადახდილი სათამაშო მოსაკრებლები სახელმწიფოს მიმართ	9,122	8,937
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1,845	1,266
მომხმარებელთა გაყვანის გადასახადი	807	-
სხვა საგადასახადო აქტივები	2,520	2,769
სულ საგადასახადო აქტივები	**14,294**	**12,972**
გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე	1,624	1,282
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულებები	6,295	11,258
გადასახადი კაზინოს თამაშებზე	4,876	3,450
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	14,400	9,180
სულ საგადასახადო ვალდებულებები	**27,195**	**25,170**

(b) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

2021 წლის 1 იანვრიდან, სომხეთის შვილობილი კომპანიებისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთია 18%.

ჯგუფი '000 ლარი	2023	2022
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი		
მიმდინარე წელი	(21,271)	(22,657)
ნაკლებობით შეფასებული, წინა წლებში	(819)	(1,048)
გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი		
დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	342	164
სულ საგადასახადო ხარჯი	**(21,748)**	**(23,541)**

(c) ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2023		2022	
ჯგუფი	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	110,470	100	116,165	100
მოგების გადასახადის ხარჯი, მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	(19,885)	(18)	(20,910)	(18)
ნაკლებობით შეფასებული, წინა წლებში	(819)	(0.7)	(1,048)	(0.9)
არა-გამოქვითვადი ხარჯები	(1,044)	(0.9)	(1,583)	(1.4)
	(21,748)	**(19.6)**	**(23,541)**	**(20.3)**

20. სესხები და კრედიტები

(a) სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ჯგუფის/კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობებზე. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის/კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 22-ე შენიშვნაში.

ჯგუფი/კომპანია '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	790,641	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**790,641**	**-**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი მშობელი კომპანიისგან	-	847,043
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**-**	**847,043**
სულ სესხები და კრედიტები	**790,641**	**847,043**

(i) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხის დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

ჯგუფი/კომპანია						31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 2023	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 2022	დაფარვის წელი 2023	დაფარვის წელი 2022	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხი მშობელი კომპანიისგან	გირვანქა სტერლინგი	6.35%	2.2%	2027	მოთხოვნამდე	26,752	26,752	169,659	169,659
სესხი მშობელი კომპანიისგან	გირვანქა სტერლინგი	7.15%	3.36%	2027	მოთხოვნამდე	763,889	763,889	677,384	677,384
სულ პროცენტიანი ვალდებულებები						**790,641**	**790,641**	**847,043**	**847,043**

2023 წელს, როგორც ნომინალური საპროცენტო განაკვეთები ასევე სესხების დაფარვის ვადები დაკორექტირდა. შედეგად, სესხები რეკლასიფიცირდა „მოთხოვნამდე“ კატეგორიიდან „გრძელავდიანის“ კატეგორიაში. ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა ცვლილებები არ ყოფილა შეტანილი თავდაპირველ სასესხო ხელშეკრულებებში.

(ii) სესხებისა და კრედიტების მოძრაობის შეჯერება

'000 ლარი	ჯგუფი სესხები და კრედიტები	კომპანია სესხები და კრედიტები
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**847,043**	**847,043**
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	-
ძირი თანხის დაფარვა	(148,854)	(121,158)
სულ ცვლილებები:	**(148,854)**	**(121,158)**
სხვა ცვლილებები:		
სხვა მოძრაობა**	-	(27,696)
საპროცენტო ხარჯი***	55,920	55,920
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	36,532	36,532
სულ სხვა ცვლილებები	**92,452**	**64,756**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**790,641**	**790,641**

'000 ლარი	ჯგუფი სესხები და კრედიტები	კომპანია სესხები და კრედიტები
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	**308,404**	**308,404**
შემოსულობები სესხებიდან*	725,851	725,851
ძირი თანხის დაფარვა	(81,450)	-
სულ ცვლილებები:	**644,401**	**725,851**
სხვა ცვლილებები:		
სხვა მოძრაობა**	-	(81,450)
საპროცენტო ხარჯი***	17,696	17,696
კორექტირება უცხოური ვალუტის კონვერტაციაზე	(123,458)	(123,458)
სულ სხვა ცვლილებები	**(105,762)**	**(187,212)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**847,043**	**847,043**

მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ სხვა ფულად ნაკადებში წარმოდგენილია შენიშვნაში 17.

*რადგან კომპანიას არ ჰქონდა საბანკო ანგარიში 2022 წელს, 725,851 ათასი ლარის ოდენობით (ევრო: 237,953 ათასი) ანაზღაურება შპს "ატლასის" დარჩენილი წილების შეძენისთვის (იხ. შენიშვნა 21(a)) გადახდილ იქნა მშობელი კომპანიის მიერ და შესაბამისი ოდენობა 2022 წელს აღიარდა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მშობელი კომპანიისგან სესხის სახით.

**რადგან შპს „ატლასთან“ შერწყმამდე კომპანიას არ ჰქონდა საბანკო ანგარიში, შვილობილი კომპანიებისგან მისაღები დივიდენდი გადამისამართებულ იქნა მშობელ კომპანიაზე სასესხო ვალდებულების დასაფარად (იხ. შენიშვნა 14).

*** მშობელ კომპანიასა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, დარიცხული პროცენტი ექვემდებარება კაპიტალიზაციას ძირ თანხაზე, ყოველკვარტლურად.

21. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში საანგარიშგებო თარიღებისთვის იყო შემდეგი:

კომპანია '000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში	1,023,278	997,585
	1,023,278	**997,585**

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში თავდაპირველად აღირიცხება, როგორც საწარმოთა გაერთიანება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თვითღირებულებით.

(a) საწარმოთა გაერთიანება

2019 წლის 1 თებერვალს, კომპანიამ დაასრულა შპს "ატლასში" თავდაპირველი 51%-იანი მაკონტროლებელი წილის შეძენა (ჰოლდინგური კომპანია, რომელიც აერთიანებს "აჭარაბეთის" ბრენდის ქვეშ მოქმედ კომპანიებს), რომელიც წარმოადგენს ბაზრის ლიდერს ონლაინ ფსონების და სათამაშო საქმიანობის სფეროში საქართველოს ბაზარზე. შეთანხმების საფუძველზე, კომპანიას ჰქონდა წილების დარჩენილი 49%-ის შეძენის ოფციონი 2022 წელს (იხ. შენიშვნა 25).

კომპანიის მიერ თავდაპირველად გადახდილი ფულადი ანაზღაურება 51%-იანი წილისთვის იყო 116,472 ათასი ევრო. ასევე შეთანხმებულ იქნა მექანიზმი (რომელიც "ქოლ" და "ფუთ" ოფციონებისგან შედგება), რომელიც კომპანიას/არამაკონტროლებელი წილის მფლობელს აძლევს საშუალებას შეისყიდოს/გაყიდოს დარჩენილი 49% სამი წლის შემდეგ, 7-ჯერ 2021 წლის EBITDA-ს ეკვივალენტური შეფასებით, შესაბამისად.

2022 წლის 1 ივლისს, კომპანიამ აღასრულა ოფციონი და 237,953 ათასი ევროს ოდენობით ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, შეიძინა შპს „ატლასში“ არამაკონტროლებელი წილის დარჩენილი 49%-ი. შედეგად, კომპანია შპს „ატლასის“ 100%-იანი მესაკუთრე გახდა.

2023 წლის 1 აპრილს, კომპანია შეერწყა შპს „ატლასს“, რის შედეგადაც შპს „ატლასის“ ყველა ნაშთი შპს „ატლას ჰოლდინგს“ გადაეცა, როგორც გადარჩენილ საწარმოს.

(i) გადაცემული ანაზღაურება

შპს „ატლასში“ 51%-იანი წილის შეძენისთვის გადაცემული თავდაპირველი ანაზღაურება შეადგენდა 116,472 ათასი ევროს ოდენობით ფულად სახსრებს. კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია შვილობილი კომპანიის ნაშთში წარმოადგენს გადახდილ ფულად სახსრებს. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის, რომელიც კომპანიასა და ჯგუფის საწარმოებს მოიცავს, გარიგება აღირიცხა როგორც ბიზნესის შესყიდვა და აღიარებულ იქნა გუდვილი.

237,953 ათასი ევროს ოდენობით ანაზღაურება დარჩენილი 49%-იანი წილისთვის (იხ. შენიშვნა 20(a)(ii)), აღიარებულ იქნა როგორც ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში 2022 წელს. გარიგება აღირიცხა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც არამაკონტრელებელი წილის შეძენა. შედეგად, შეწყდა შესყიდვის თარიღისთვის 128,076 ათასი ლარის ოდენობით არამაკონტროლებელი წილის შესაბამისი საბალანსო ღირებულების აღიარება და სხვაობა ანაზღაურებასა და არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდა პირდაპირ კაპიტალში, არამაკონტროლებელი წილის შეძენის რეზერვში.

არამაკონტროლებელი წილი

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც აქვს არსებითი არამაკონტროლებელი წილი, ნებისმიერ შიდაჯგუფურ გამოქვითვამდე.

'000 ლარი	**1 ივლისი 2022**
	ატლას ჯგუფი
არამაკონტროლებელი წილის პროცენტულობა	**49%**
სულ აქტივები	333,706
სულ ვალდებულებები	(72,326)
წმინდა აქტივები	**261,380**
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	**128,076**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	67,629
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიკუთვნებადია არამაკონტროლებელ წილზე	**33,138**
სხვა მოძრაობა კაპიტალში	1,068
არამაკონტროლებელი წილის შეძენა	(128,076)
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი დივიდენდი	(22,050)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	92,057
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(14,747)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(45,842)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**31,468**

(b) შპს „ატლასის“ შპს „ატლას ჰოლდინგთან“ შერწყმა

2023 წლის 6 აპრილს, შპს „ატლასთან“ შერწყმის შემდეგ, კომპანია, როგორც გადარჩენილი საწარმო, შპს „ატლასის“ შვილობილი კომპანიების 100%-იანი მესაკუთრე გახდა. შერწყმის შედეგად, კომპანიის შპს „ატლასში“ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შპს „ატლასის“ შვილობილ კომპანიებზე განაწილდა, შერწყმის თარიღისთვის. განაწილების ოდენობა ტოლია სხვაობისა კომპანიის შპს „ატლასში“ განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებასა და შპს „ატლასის“ წმინდა აქტივებს შორის, რომელსაც გამოკლებული აქვს შპს „ატლასის“ ინვესტიციები მის შვილობილ კომპანიებში.

კომპანია **'000 ლარი**	**6 აპრილი 2023**
შპს „ატლასში“ განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულება შერწყმის თარიღისთვის	968,590
შპს „ატლასის“ წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება შერწყმის თარიღისთვის.	(33,195)
შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულება შპს „ატლასის“ სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით, შერწყმის თარიღისთვის	10,472
შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულება შპს „ატლას ჰოლდინგში“	**945,867**

შპს „ატლასთან“ შერწყმის შედეგად შეძენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები:

კომპანია **'000 ლარი**	**შპს "ატლასი"**
6 აპრილი 2023	
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ინვესტიციები საწარმოებში	10,472
გაცემული სესხები	6,430
არამატერიალური აქტივები	394
სულ გრძელვადიანი აქტივები	**17,296**
მოკლევადიანი აქტივები	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,098
საგადასახადო აქტივები	3,579
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,576
სულ მოკლევადიანი აქტივები	**17,253**
სულ აქტივები	**34,549**
კაპიტალი და ვალდებულებები	
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	675,235
კაპიტალის რეზერვი	(644,824)
გაუნაწილებელი მოგება	2,784
სულ კაპიტალი	**33,195**
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,334
საგადასახადო ვალდებულებები	20
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**1,354**
სულ ვალდებულებები	**1,354**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**34,549**

(c) შვილობილ კომპანიებში ინვესტიციების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიამ შეაფასა არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმისა, რომ კომპანიის შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე დაბლა არის ჩამოსული. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ კომპანიის ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში სამ დიდ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს უკავშირდება:

- ინვესტიციები ქართულ შვილობილ კომპანიებში
- ინვესტიციები სომხურ შვილობილ კომპანიებში
- ინვესტიციები კვიპროსის შვილობილ კომპანიებში

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გამოავლინა კონკრეტული შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც გაუფასურების ნიშნებად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, ჩაატარა გაუფასურებაზე ტესტირება მის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში, გარდა ინვესტიციებისა კვიპროსის შვილობილ კომპანიებში, რომელთა ანაზღაურებადობა საბოლოო მაკონტროლებელი მხარისგან მიღებული მხარდაჭერის წერილით არის უზრუნველყოფილი. ანაზღაურებადი ღირებულებები განისაზღვრა გამოყენებითი ღირებულების გათვალისწინებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიერ გენერირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებების და გადინებების საფუძველზე.

ვინაიდან გაუფასურების მოდელები გუდვილისთვის და ინვესტიციებისთვის შვილობილ

კომპანიებში იდენტურ ფულად ნაკადებზე, დაშვებებზე და მსჯელობებზე არის დაფუძნებული, შესაბამისი ინფორმაცია მე-11 შენიშვნაში არის წარმოდგენილი. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში გაუფასურების აღიარება არ არის აუცილებელი, რადგან კომპანიის ქართულ და სომხურ შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულება შესაბამის საბალანსო ღირებულებებზე მეტია (2022 წლის 31 დეკემბერი: გაუფასურების მაჩვენებლები არ ყოფილა იდენტიფიცირებული).

22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა/კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი/კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 22(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

აღმასრულებელ დირექტორს აკისრია სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერს.

ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული

რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის/კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის/კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ზედამხედველობას უწევს თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის/კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული კონტრაჰენტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. გეოგრაფიულად საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოში და სომხეთშია კონცენტრირებული.

ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალების მისეულ შეფასებას მოთხოვნებთან მიმართებაში. მოცემული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაქვემდებარებებს.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მაქსიმალური საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის კონტრაჰენტების სახეობის მიხედვით არის შემდეგი:

ჯგუფი	**საბალანსო ღირებულება**	
'000 ლარი	**31 დეკემბერი 2023**	**31 დეკემბერი 2022**
საბანკო ნაშთები	158,538	128,946
ფულადი სახსრები გზაში	14	-
მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ	30,661	30,747
სხვა მოთხოვნები	6,990	6,277
	196,203	**165,970**

საბანკო ნაშთები და ფულადი სახსრები გზაში

საბანკო ნაშთები და ფულადი სახსრები გზაში განთავსებულია ქართულ და სომხურ ბანკებში, მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ნაშთების 95%-ზე მეტი შენახულია ქართულ და სომხურ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B.

ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს, რომ მისი რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არაარსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ

მოთხოვნები სწრაფი გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ დაკმაყოფილებულია მაქსიმუმ 5-15 დღის განმავლობაში. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის არცერთი ნაშთი საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისგან არ იყო ვადაგადაცილებული და ნაშთების არსებითი ნაწილი შეგროვდა საანგარიშგებო თარიღების შემდგომ.

აღნიშნულ გარემოებებში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი არსებითად არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს "მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ" მიმართებაში. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს/კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ჯგუფის/კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის/კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები ჯგუფისთვის და კომპანიისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

ჯგუფი
31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	66,955	66,955	-	66,955	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	7,912	9,641	-	1,249	1,225	2,439	4,728
სესხები და კრედიტები	790,641	1,048,862	-	-	-	-	1,048,862
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები	165	165	-	165	-	-	-
	865,673	**1,125,623**	**-**	**68,369**	**1,225**	**2,439**	**1,053,590**

31 დეკემბერი 2022

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	43,350	43,350	-	43,350	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	6,428	7,803	-	1,129	962	1,726	3,986
სესხები და კრედიტები	847,043	847,043	847,043	-	-	-	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები	93	93	-	93	-	-	-
	896,914	**898,289**	**847,043**	**44,572**	**962**	**1,726**	**3,986**

კომპანია
31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,404	1,404	-	1,404	-	-	-
სესხები და კრედიტები	790,641	1,048,862	-	-	-	-	1,048,862
	792,045	**1,050,266**	**-**	**1,404**	**-**	**-**	**1,048,862**

31 დეკემბერი 2022

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	111	111	-	111	-	-	-
სესხები და კრედიტები	847,043	847,043	847,043	-	-	-	-
	847,154	**847,154**	**847,043**	**111**	**-**	**-**	**-**

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის/კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები, შესყიდვები და კრედიტები და ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტები ძირითადად არის ქართული ლარი, სომხური დრამი, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი და ევრო. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ლარი, სომხური დრამი, ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფი

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	სომხურ დრამში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	ლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022	სომხურ დრამში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022	ლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,426	5,195	120,974	30,729	2,025	4,578	113,569	10,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,351	3,124	20,984	9,753	2,348	2,941	25,106	1,143
საიჯარო ვალდებულება	(3,856)	-	(3,302)	(754)	(4,554)	-	(1,694)	(180)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,116)	(21,044)	(17,553)	(9,781)	(2,000)	(17,569)	(4,762)	(6,620)
წმინდა დაქვემდებარება	**(2,195)**	**(12,725)**	**121,103**	**29,947**	**(2,181)**	**(10,050)**	**132,219**	**5,188**

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2023	2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აშშ დოლარი	2.6279	2.9156	2.6894	2.7020
ევრო	2.8416	3.0792	2.9753	2.8844
სომხური დრამი	6.7034	6.7138	6.6528	6.8513
ლარი	0.3061	0.2764	0.2922	0.3069

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბერს, გირვანქა სტერლინგის გონივრული შესაძლო 10%-იანი გამყარება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, ევროს, ლარს, აშშ დოლარს და სომხურ დრამთან მიმართებით, გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასა და მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო შემოსავლებისა და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

ჯგუფი

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2023	
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,273
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	220
სომხური დრამი (10%-იანი მოძრაობა)	(12,110)
ლარი (10%-იანი მოძრაობა)	(2,995)

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2022	
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,005
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	218
სომხური დრამი (10%-იანი მოძრაობა)	(13,222)
ლარი (10%-იანი მოძრაობა)	(519)

ევროს, ლარს, აშშ დოლარსა და სომხურ დამთან მიმართებაში გირვანქა სტერლინგის გაუფასურებას 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენებ თანხებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩებოდა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს ფულად სახსრებსა და მთ ეკვივალენტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგნაკვეთიანი ინსტრუმენტი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი/კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ფულადი სახსრების ანაბრებზე განთავსებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება ჯგუფისთვის/კომპანიისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი/კომპანია არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი/კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

23. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოსა და სომხეთში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს/კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ძირითადი საშუალებებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება ჯგუფის/კომპანიის ქონებასთან ან ჯგუფის საწარმოების ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის/კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის/კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის/კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში და სომხეთში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, უფრო განვითარებული საგადასახდო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში და სომხეთში გაცილებით უფრო საგრძნობია.

სომხეთის რესპუბლიკაში სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობა 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. კანონმდებლობა ძალაშია 2020 ფინანსური წლისთვის და შემდგომი პერიოდებისთვის. სომხური სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები უფრო ახლოსაა OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებთან, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში, ახასიათებს განუსაზღვრელობები საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენებისას.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები გადასახადების გადამხდელს კონტროლირებულ გარიგებებთან დაკავშირებით სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის მომზადებას ავალდებულებს და დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვის საფუძველსა და მექანიზმებს უზრუნველყოფს, იმ შემთხვევაში თუ ფასები კონტროლირებულ გარიგებაში განსხვავდება საბაზრო დონისაგან.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ ტრანზაქციებზე, თუ კონტროლირებული გარიგების ჯამური თანხა საგადასახადო წელს 200 მილიონ სომხურ დრამს აღემატება:

- ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის;
- ტრანსსასაზღვრო ოპერაციები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებთან, მიუხედავად იმისა, დაკავშირებული მხარეები არიან თუ არა;
- გარკვეული ქვეყნის შიდა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის, როგორც ეს განსაზღვრულია სომხეთის საგადასახადო კოდექსით.

რადგან სომხეთში არ არსებობს საგადასახადო ორგანოებისა და სასამართლოების მიერ სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების გამოყენების პრაქტიკა, ძნელია ახალი სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის პროგნოზირება.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია საქართველოში და სომხეთში მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული/კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

(d) საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო დარიცხვის შეტყობინება

2020 წლის დეკემბერში, ჯგუფმა, საქართველოს საგადასახადო ორგანოებიდან მიიღო საგადასახადო დარიცხვის შეტყობინება გამოშვებული 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 მარტამდე პერიოდისთვის საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე, რომელიც მოიცავს 3,000 ათას ლარამდე ოდენობით დამატებით დარიცხულ საგადასახადო ვალდებულებებს მოგების გადასახადისთვის, დამატებული ღირებულების გადასახადისთვის, ჯარიმებისთვის და დაგვიანებული გადახდის პროცენტისთვის. ხელმძღვანელობა არ ეთანხმება საქართველოს საგადასახადო ორგანოების პოზიციას და საქართველოს შემოსავლების სამსახურში და შემდგომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიტანა საჩივარი და მოითხოვა დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების და საგადასახადო ჯარიმების ხელახალი გამოთვლა, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რამაც გამოიწვია დავის გაგრძელება სასამართლოში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, პირობითი ვალდებულების ოდენობის ზუსტად შეფასება შეუძლებელია. თუმცა, ხელმძღვანელობას გააჩნია ანარიცხი მისი, მოგების გადასახადისთვის და დღგ-სთვის სავარაუდო მომავალი ფულადი სახსრების გადინებების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

24. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის "TSE Holdings Limited"-ი, მისი შპს "ატლას ჰოლდინგში" 100%-იანი წილის საშუალებით, ჯგუფის აქციების 100%-ს ფლობდა. „Flutter Entertainment PLC" ჯგუფის/კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს, რომელიც მშობელი კომპანიის 100%-იან წილს ფლობს. "Flutter Entertainment PLC"-ის წლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე: www.flutter.com.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია სახელფასო ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 7):

ჯგუფი '000 ლარი	2023	2022
ხელფასები და ბონუსები	**14,856**	**17,386**

კომპანიის დირექტორები ჯგუფის („Flutter Entertainment PLC") უფრო მაღალ დონეზე ანაზღაურდებიან.

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფი '000 ლარი	გარიგების ღირებულება დასრულებული წლისათვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	გარიგების ღირებულება დასრულებული პერიოდისთვის			
	2023	2022	2023	2022
მომსახურების გაყიდვა:				
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-	-
ყოფილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები (შპს "სითი ლოფტი")	-	60	-	-
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები*	793	1,177	6,611	6,905
მომსახურების შესყიდვა:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები**	(25,817)	(40,961)	(33,546)	(25,868)
ყოფილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები (შპს "სითი ლოფტი")***	-	(3,676)	-	-
ყოფილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელისგან (შპს „სითი ლოფტი“) ოფისის იჯარა	-	(218)	-	-
აღიარებული ფასს 16-ის მიხედვით				
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-	-
სესხები და კრედიტები				
სესხი მშობელი კომპანიისგან ****	(148,854)	(81,450)	(790,641)	(847,043)
კომპანია				
სესხები და კრედიტები				
სესხი მშობელი კომპანიისგან ****	(121,158)	-	(790,641)	(847,043)

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. დაკავშირებული მხარის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალი არ ყოფილა აღიარებული.

* მომსახურების გაყიდვა ძირითადად მოიცავს დაკავშირებული მხარის საწარმოებისთვის, „Halfords Media Ltd“-ისთვის „Power Leisure Bookmakers Ltd“-სთვის და შპს „Singular Group“-ისთვის გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას. ჯგუფი გასწევს საკონსულტაციო მომსახურებას და იღებს ცვლად ანაზღაურებას, რომელიც დაფუძნებულია აღნიშნული შვილობილი კომპანიების თამაშების მთლიანი შედეგების პროცენტულობაზე.

**საბოლოო მშობელი კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისგან მომსახურების შესყიდვა, მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას და სათამაშო და ტექნოლოგიური მომსახურების ხარჯებს. ამასთანავე, საბოლოო მშობელი კომპანიისგან მომსახურების შეძენაში შეტანილია გარიგებები შპს "Advance Systems"- თან (2023: 4,503 ათასი ლარი, 2022: 26,037 ათასი ლარი), რომელიც სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე, მოქმედებს როგორც შუამავალი თამაშების გამყიდველებსა და ჯგუფს შორის. 2023 წლის თებერვალში, შპს „ატლასმა“ შეიძინა შპს „Advanced Systems“-ი, შპს „ატლას ჰოლდინგის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია, რის შედეგად, ის გახდა ჯგუფის საწარმო (იხ. შენიშვნა 11 და 21 (b)). შედეგად, შესყიდვის თარიღის შემდეგ შპს „Advanced Systems“-თან დადებული ყველა გარიგება იქნა ელიმინირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

*** ყოფილი არამაკონტროლებელი წილის მფლობელის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისგან მომსახურების შესყიდვა მოიცავს დაკავშირებული მხარის საწარმოზე - შპს "Adjara.com"-ზე გაწეულ მარკეტინგის ხარჯებს.

****2023 და 2022 წლებში, მშობელი კომპანიისგან აღებულ სესხებსა და კრედიტებზე დარიცხული პროცენტი 55,920 ათას და 17,696 ათას ლარს შეადგენდა, შესაბამისად. მნიშვნელოვანი არაფულადი მოძრაობა სესხებსა და კრედიტებში წარმოდგენილია შენიშვნაში 20(a)(ii).

2023 წელს, კომპანიამ შპს „ატლასისგან“ და მისი სხვა შეძენილი შვილობილი კომპანიებისგან (შენიშვნა 21(b)) მიიღო 136,971 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდი. დივიდენდი გადაცემულ იქნა კომპანიის მიერ შპს „TSE Holdings“-ზე სესხებისა და კრედიტების დაუფარავი ნაშთის შესამცირებლად.

25. შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

2024 წელს, კომპანიამ აღიარა 230,600 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი, შპს „აკორასგან“, შპს „კომპრასგან“ შპს „აჭარაფეისგან“ და შპს „ავიატორისგან“. 228,300 ათასი ლარის ჯამური ოდენობის მქონე დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი იქნა გადამისამართებული მშობელი კომპანიის სესხის დასაფარად.

(b) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში საქართველოს ბაზარზე

2023 წელს, საქართველოს პარლამენტმა აზარტული თამაშების რეგულაციაში ცვლილებები დაამტკიცა, რაც გადასახადების გაზრდასა და სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების ცვლილებას გულისხმობდა. საგადასახადო ცვლილებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ლიცენზიასთან დაკავშირებული ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 ივნისიდან:

a. გადასახადები

დაბეგვრასთან დაკავშირებით შემდეგი ცვლილებები შევიდა ძალაში:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული, მთლიანი სათამაშო შემოსავლის (GGR) გადასახადის 5%-იანი ზრდა (GGR გადასახადის არსებული 10% -იდან 15%-მდე ზრდა);
- ონლაინ მოთამაშეების მიერ გატანილ თანხებზე დადგენილი გადასახადის 3%-იანი ზრდა (გადასახადის არსებული 2%-იდან 5%-მდე ზრდა).

b. კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებთან დაკავშირებით შემდეგი ცვლილებები ამოქმედდა 2024 წლის ივნისიდან:

1) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების სალიცენზიო მოსაკრებელი - წელიწადში 5,000 ათასი ლარი; ამასთანავე, აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის აღარ იქნება სავალდებულო სამორინეების ფლობა, სლოტ აპარატების თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩასატარებლად.
2) სისტემურ-ელექტრონული ფორმით სლოტ აპარატების თამაშობების ორგანიზების სალიცენზიო მოსაკრებელი - წელიწადში 1,000 ათასი ლარი; ამასთანავე, აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის აღარ იქნება სავალდებულო სამორინეების ფლობა, სლოტ აპარატების თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩასატარებლად.
3) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების სალიცენზიო მოსაკრებელი - წელიწადში 100 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის განცხადებით, 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება შემდეგი საგადასახადო ცვლილებები:

- მთლიანი სათამაშო შემოსავლის გადასახადის 5%-იანი ზრდა, არსებული 15%-იანი გადასახადიდან 20%-მდე.

c. კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“

2024 წლის ივნისიდან, აზარტული თამაშების ბიზნესის სისტემურ-ელექტრონული მოსაკრებლები სამ კატეგორიად გაიყოფა: კაზინოს თამაშები, სლოტ აპარატების თამაშები და ტოტალიზატორი (სპორტული ფსონები). საიდანაც ჯგუფი კვარტალურად გადაიხდის 250,000 ათას ლარს მხოლოდ სპორტული ფსონების (ტოტალიზატორის) საქმიანობისთვის - რადგან მას აღარ ექნება მიწის კაზინო (სამორინე).

(c) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში სომხეთის ბაზარზე

2024 წლის ოქტომბრიდან, სომხეთის ბაზარზე არსებული რეგულაციები კრძალავს დეპოზიტებს იმ ბარათების გამოყენებით, რომლებიც არ არის რეგისტრირებული მომხმარებლის სახელზე.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოაღნიშნულ რეგულაციებს არ ექნებათ არსებითი გავლენა ჯგუფზე და მის საქმიანობაზე, რადგან აღნიშნული რეგულაციები არ წარმოადგენს არსებითად ახალ რეგულაციებს, არამედ უკვე არსებული რეგულაციების ცვლილებებს წარმოადგენს.

26. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა (იხ. შენიშვნა 18), რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

27. არსებითი ინფორმაცია საარღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი საარღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის/ჯგუფის მიერ.

ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ/ჯგუფმა მიიღო „საარღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები). კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ საარღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. კორექტირებებს არ მოჰყოლია ცვლილებები 27 (a-ი) შენიშვნაში მოცემულ საარღრიცხვო პოლიტიკაში.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილი ფასდება ნასყიდობის თარიღში შემძენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, მათ შორის შესყიდვისას წარმოშობილი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(ii) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მისი გადაფასება არ ხდება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

კომპანია, მის ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში აღრიცხავს თვითღირებულებით და თანმიმდევრულად იყენებს ერთიდაიგივე სააღრიცხვო პოლიტიკებს ინვესტიციების თითოეული კატეგორიისთვის. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ფასდება შესყიდვის ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

კომპანია, ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში აღრიცხავს კონტროლის ფაქტიური დაწყების თარიღიდან მისი ფაქტიური შეწყვეტის თარიღამდე.

(iv) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(v) შერწყმა საერთო კონტროლის ქვეშ

შერწყმა საწარმოებთან, რომლებიც იმ აქციონერის კონტროლს ექვემდებარება, რომელიც აკონტროლებს კომპანიას, აღირიცხება საბალანსო ღირებულების საფუძველზე ("ნაშთის გადატანის საფუძველზე"), შერწყმის თარიღისთვის. შერწყმის შედეგად შეძენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ადრე აღიარებული იყო კომპანიის მაკონტროლებელი აქციონერის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(b) შემოსავალი

ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ონლაინ თამაშებია: კაზინო, ტოტალიზატორი და peer-to-peer თამაშები, მათ შორის, ონლაინ პოკერი და სხვა ონლაინ თამაშები. ჯგუფი ასევე ამუშავებდა მიწის კაზინოს სტეფანწმინდაში (საქართველო) 2020 წლამდე.

ჯგუფის სათამაშო საქმიანობა, გარდა იმ პროდუქტებისა, რომლებზეც ხდება საკომისიო შემოსავლის გამომუშავება, კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება შემოსავლების მუხლში, რადგან აღნიშნული ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი. შემოსავალი არ ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, ნარდის გარდა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ჯგუფი გარიგების ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
შემოსავალი peer-to-peer თამაშებიდან	Peer-to-peer თამაშებით (მათ შორის ონლაინ პოკერი) მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოებს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო პერიოდის ბოლოსთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ თამაშის დაწყებისას, „რეიკი“ აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში, ყოველ დასრულებულ თამაშზე.
შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან	შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან წარმოადგენს ტოტალიზატორის საქმიანობაზე გამომუშავებულ საკომისიოს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. საკომისიო აღიარდება იმ თარიღში, როდესაც მოვლენის შედეგი განსაზღვრულია.
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	შემოსავალი ზოგადი საქმიანობიდან მოიცავს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებსა და peer-to-peer გადარიცხვებიდან მიღებულ საკომისიოებს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ტრანზაქციას/peer-to-peer გადარიცხვას განახორციელებს, შემოსავალი აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში.

კაზინოს შემოსავალი

მიწის კაზინოდან და ონლაინ კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს (“customer drop”), რაც გულისხმობს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის, გამოკლებული მომხმარებლებზე პერიოდის განმავლობაში გაცემული წახალისებები და ბონუსები. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული ამონაგები და ზარალი.

შემოსავალი ტოტალიზატორიდან

ტოტალიზატორის თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს პერიოდის განმავლობაში დადებული ფსონებიდან მიღებულ წმინდა შემოსულობას ან ზარალს, პერიოდის განმავლობაში გაწეული წახალისებებისა და ბონუსების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი. ტოტალიზატორის შემოსავალს აკლდება მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გამოკლებით.

შემოსავალი დივიდენდებიდან

დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც დადგინდება კომპანიის უფლება მიიღოს აღნიშნული ოდენობა.

(c) გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება წარმოადგენს პირდაპირ ცვალებად ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლის გენერირების საქმიანობასთან და ძირითადად მოიცავს თამაშების პროვაიდერის ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადს, სპორტული ფსონების გადასახადებსა და მომხმარებელთა გადახდების დამუშავების საფასურს. გაყიდვების თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო ხარჯებს, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს

(d) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე;
- საპროცენტო ხარჯს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(e) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის/კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, კომპანიის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(f) უცხოური ოპერაციები

უცხოური ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები, გარდა წარსადგენ ვალუტაში დენომინირებული უცხოური ოპერაციებისა, შესყიდვისას წარმოშობილი სამართლიანი ღირებულების კორექტირებების ჩათვლით, კონვერტირებულია წარსადგენ ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. სამართლიანი ღირებულების კორექტირებები, რომლებიც წარმოიშვება ლარში დენომინირებული უცხოური ოპერაციების შესყიდვისას კონვერტირებულია წარსადგენ ვალუტაში შესყიდვის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირებულია წარსადგენ ვალუტაში ოპერაციების თარიღებისთვის არსებული გაცვლითი კურსების გამოყენებით.

უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული სხვაობები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია კონვერტაციის რეზერვში, კაპიტალში.

(g) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების სახით თუ ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(h) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე და კაზინოს თამაშებზე

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 7%-იანი მოგების გადასახადით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული ბრუტო შემოსავლის საფუძველზე (ანუ მიღებული ფსონები).

ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადის 10%-იანი განაკვეთით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი სათამაშო შემოსავლის მიხედვით (ანუ სხვაობა მიღებულ ფსონებსა და გადახდილ მოგებას შორის).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან (იხ. შენიშვნა 27(h)(i)). ასევე, რადგან შემოსავალი ონლაინ სპორტული ფსონების საქმიანობიდან იბეგრება მთლიანი შემოსავლის (მიღებული ფსონები) 7%-ით და 2023 წლიდან, მთლიანი სათამაშო შემოსავალი ონლაინ კაზინოდან იბეგრება 10%-ით, ონლაინ სპორტული ფსონებიდან და ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესაბამისი შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

(i) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში/კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
კომპიუტერული ტექნიკა	1-8 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა	1-10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წლამდე
სხვა	3-7 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას რასაც ჯგუფი/კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივის სასიცოცხლო ვადა იქნებოდა სრულად გამოყენებული და შესაბამის მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

(j) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც ძირითადად კომპიუტერული პროგრამებისგან და ტექნოლოგიებისა და ვებგვერდის განვითარების ხარჯისგან შედგება, კაპიტალიზირდება და ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

(i) კვლევა და განვითარება

ახალი მეცნიერული ან ტექნოლოგიური ცოდნისა და შემეცნების მოპოვების მიზნით კვლევით საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

განვითარების ხარჯები წარმოადგენს განვითარების სამუშაოებზე გაწეულ, ჯგუფის/კომპანიის შიგნით წარმოშობილ ხარჯებს. განვითარების ხარჯი კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობის სანდოდ შეფასება არის შესაძლებელი, საქონელი ან პროცესი არის ტექნიკურად და კომერციულად მიზანშეწონილი, მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება და ჯგუფი/კომპანია მიზნად ისახავს და გააჩნია საკმარისი რესურსები, დაასრულოს განვითარების პროცესი და გამოიყენოს ან გაყიდოს მოცემული აქტივი.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯი ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

(ii) პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები

კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგია მოიცავს კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისა და გამოყენების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები აღიარდება ხარჯებად შემოსავლის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

(iii) ურთიერთობები კლიენტებთან

ურთიერთობები კლიენტებთან საწარმოთა შერწყმის შედეგად შეძენილ "კლიენტებთან ურთიერთობის" სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს.

(iv) ბრენდი

ბრენდი საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი ბრენდის სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს.

(v) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(vi) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლებელია ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
ბრენდი	10 წელი
ურთიერთობები კლიენტებთან	7 წელი შემცირებადი ნაშთის მეთოდი, კლიენტის სავარაუდო სასიცოცხლო ციკლის მიხედვით
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება	3-15 წლამდე
ვებგვერდის გაუმჯობესება	3-5 წლამდე
სხვა	3-10 წლამდე

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც ჯგუფი/კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი/კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

იმ კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიამ/ჯგუფმა შეიძლება შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას/ჯგუფს შეუძლია შეუქცევად აირჩიოს ფინანსური აქტივის, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამორტიზებული ღირებულებით შეფასება, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ აღნიშნული აღმოფხვრის ან არსებითად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 12) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 13), რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არა-არსებითია.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, ჯგუფმა/კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი/კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი/კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი/კომპანია ასკვნის რომ ცვლილება არსებითია შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.
  (მაგ. კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება);

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი/კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი/კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ მოდიფიცირებას (ან გაცვლას), მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება ამლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს/კომპანიას აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახედილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი/კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი/კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი/კომპანია ასკვნის რომ ცვლილება არსებითია შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი/კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი/კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ჯგუფი/კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი/კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. ჯგუფს/კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგადაფარვის იურიდიული აღსრულების უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე ჯგუფის/კომპანიის და მისი ყველა კონტრაჰენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(l) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი/კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

ჯგუფი/კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი/კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის/კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი/კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის/კომპანიის მიმართ, ჯგუფის/კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

ჯგუფი/კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი/კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფის/კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი/კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში ჯგუფი/კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის/კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი/კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს/კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, ჯგუფს/კომპანიას აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული კლიენტებისთვის, ჯგუფი/კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი/კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის/კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(m) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადებამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(n) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი/კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკავებული ფასის მიხედვით.

ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფს/კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის/კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის/კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი/კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

ჯგუფი/კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გდასახდელები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, რომლებიც თავდაპირველად დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით იქნა შეფასებული;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები; და
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოპციონის ფარგლებში, რომლის აღსრულებაშიც ჯგუფი/კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ ჯგუფი/კომპანია გონივრულად დარწმუნებულია რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას, და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი/კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ არსებობს ცვლილება ჯგუფის/კომპანიის შეფასებაში იმ ოდენობისა რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, თუ ჯგუფი/კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან თუ არსებობს გადახედილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გდასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფი/კომპანია მის "აქტივებს გამოყენების უფლებით" რომლებიც არ აკმაყოფილებენ "საინვესტიციო ქონების" განმარტებას, "ძირითადი საშუალებების" კატეგორიაში, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს "სესხები და კრედიტების" კატეგორიაში აკლასიფიცირებს (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში).

ჯგუფმა/კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. ჯგუფი/კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, ჯგუფი/კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი/კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებდა, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავდა იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენდა თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, ჯგუფი/კომპანია ახორციელებდა ზოგად შეფასებას იმისა გადასცემდა თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, ჯგუფი კომპანია ითვალისწინებდა გარკვეულ მაჩვენებლებს, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

როდესაც ჯგუფი/კომპანია შუალედური მეიჯარეა, იგი აღრიცხავს თავის წილებს ძირითადი იჯარისა და ქვეიჯარის კატეგორიებში, ცალ-ცალკე. იგი აფასებს ქვეიჯარის საიჯარო კლასიფიკაციას გამოყენების უფლების მქონე აქტივის მითითებით, რომელიც წარმოიშვება ძირითადი იჯარიდან, და არა შესაბამისი აქტივის მითითებით. თუ ძირითადი იჯარა არის მოკლევადიანი იჯარა, რომელთან მიმართებაშიც ჯგუფი/კომპანია იყენებს ზემოთ აღწერილ შეღავათს, მაშინ იგი ქვეიჯარას საოპერაციო იჯარის სახით აკლასიფიცირებს.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი/კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

ჯგუფი/კომპანია იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. ჯგუფი/კომპანია შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

(o) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას/ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის/ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *ვალდებულებების კლასიფიკაცია „მოკლევადიანის ან გრძელვადიანის“ და „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“ სახით (ბასს 1-ის შესწორებები).*
- *მომწოდებელთა საფინანსო გარიგებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები).*
- *საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები);*
- *გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).*

შპს ატლას ჰოლდინგსის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

სარჩევი

კომპანიის ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგება 0
1. კომპანიის შესახებ 2
1.1 ორგანიზაცია 2
1.2 მფლობელები 2
2. კომპანიის საქმიანობა 2
3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები 3
4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია 4
5. ფინანსური მაჩვენებლები 4
5.1 კოეფიციენტები 4
5.2 შემოსავლების სტრუქტურა 4
5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა 4
6. კომპანიის ძირითადი რისკები 4
1. ჯგუფის შესახებ 6
1.1 ორგანიზაცია 6
1.2 მფლობელები 7
2. ჯგუფის საქმიანობა 7
3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები 8
4. ჯგუფის განვითარების გეგმები და სტრატეგია 9
5. ფინანსური მაჩვენებლები 9
5.1 კოეფიციენტები 9
5.2 შემოსავლების სტრუქტურა 10
5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა 11
6. ჯგუფის ძირითადი რისკები 11
7. კომპანიის თანამშრომლები 12

კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს ატლას ჰოლდინგსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 30 იანვარს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქუჩა 55 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 404572789.

კომპანია ფუნქციონირებს, როგორც ჯგუფის საწარმოების ჰოლდინგური კომპანია, რომელიც ძირითადად სათამაშო ინდუსტრიაში საქმიანობს.

1.2 მფლობელები

2019 წლის 30 იანვარს კომპანია დააფუძნა „TSE Holdings Limited”-მა („მშობელი კომპანია“). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „Flutter Entertainment PLC“ („საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“) და ის ოპერირებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში. საბოლოო მაკონტროლებელი მხარე წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, დანარჩენი ნაწილი კი - ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 29 იანვრიდან , Flutter Enterntainmet PLC-ის აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE), ხოლო დანარჩენი ნაწილი კი დარჩა კვოტირებული ლონდონის საფონდო ბირჟაზე. რაც შეეხება ირლანდიის საფონდო ბირჟას, Flutter Enterntainmet PLC-ს აქციების კვოტირება ამ უკანასკნელიდან მოხსნილია.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ „Flutter Entertainment PLC“ -ის მთლიანი გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს:

% of ownership interest as at 31 December	**2023**	**2022**
The Capital Group Companies, Inc	16.1%	14.6%
Caledonia (Private) Investments Pty Limited	9.9%	9.9%
Parvus Asset Management Europe Limited	6.1%	7.2%
BlackRock Inc.	5.9%	6.6%

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 6 აპრილს კომპანია შეერწყა თავის შვილობილ კომპანიას - შპს ატლასს, რის შედეგადაც შპს ატლას ჰოლდინგსი წარმოადგენს გადარჩენილ საწარმოს.

2. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლება შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდის მიღებითა და აქციონერებისთვის ამ დივიდენდის განაწილებით.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში და შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.

3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას და საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

კომპანიიის საქმიანობებისთვის ძირითადად რელევანტური გადასახადებია:

მოგების გადასახადი - ძირითადი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება, ასევე კოდექსით გათვალისწინებული სხვა დაბეგვრის ობიექტები (მოგების გადასახადის ეგრეთ წოდებული ,,ესტონური მოდელი“ (მოქმედია 2017 წლის 1 იანვრიდან); მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%, ამასთან, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა გაიანგარიშება განაწილებული მოგების/დასაბეგრი კორექტირებების/გაწეული ხარჯის 0.85-ზე გაყოფით.

საშემოსავლო გადასახადი - დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით ანაზღაურების გაცემისას, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურებისას კომპანიები აკავებენ საშემოსავლო გადასახადს 20% ოდენობით;

არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი და 5%-იანი განაკვეთით, ამასთან გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი.

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. აღნიშნული მიზნისთვის კანონის საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე და ორგანიზებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოება და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო ამონაგები.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) - კომპანიები ახორციელებენ 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ოპერაციებს, ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ოპერაციებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრად.

ქონების გადასახადი - კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე კომპანია იხდის ქონების გადასახადს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1% ოდენობით;

4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სტრატეგიების შეფასებისა და შემუშავების პროცესი.
სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს, არის არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი და დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბება. გარდა იმისა, რომ შეინარჩუნოს ბაზრის ლიდერის პოზიციები, კომპანია გახდა მეტად ორიენტირებული ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების ათვისებაზე, ცნობადობის გაზრდაზე.

5. ფინანსური მაჩვენებლები

5.1 კოეფიციენტები

წლისათვის (ლარში'000)	ცალკე მდგომი				
	2023	2022	2021	2020	2019
შემოსავალი	-	-	-	-	-
სხვა შემოსავალი*	137,056	81,450	77,010	66,300	-
კორექტირებული EBITDA	136,933	81,338	76,896	66,222	(147)
კორექტირებული EBIT	136,881	81,338	76,896	66,222	(147)
წმინდა მოგება	80,081	64,187	69,135	57,345	(5,965)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-	-	-	-

წლისათვის (ლარში'000)	ცალკე მდგომი				
	2023	2022	2021	2020	2019
სულ აქტივები	1,036,714	997,585	424,625	453,031	382,465
სულ ვალდებულებები	792,045	847,266	308,550	398,785	388,673
სულ კაპიტალი	244,669	150,319	116,075	54,246	(6,208)

სხვა შემოსავალი ძირითადად შედგება შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდისგან. 2023 წელს კომპანიამ მიიღო 137,056 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდი, ხოლო 2022 წელს - 81,450 ათასი ლარის ოდენობის.

გამოთვლები:
Adjusted EBIT გამოითვლება, როგორც სხვაობა საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალსა და ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთასა და ამორტიზაციას შორის.
Adjusted EBITDA გამოითვლება, როგორც ჯამი საოპერაციო საქმიანობით მიღებული წმინდა შემოსავლისა და ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის.

5.2 შემოსავლების სტრუქტურა

კომპანიის შემოსავლებს სრულად წარმოადგენს შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდები.

5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა

რაც შეეხება გაყიდვების თვითღირებულებას, კომპანიას არ გააჩნია მსგავსი შინაარსის ხარჯები.

6. კომპანიის ძირითადი რისკები

შპს ატლას ჰოლდინგსისთვის რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი

- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, გამომდინარე ამ მოთხოვნების სპეციფიკიდან და მისი მაღალი ლიკვიდურობიდან, მენეჯმენტი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ამ კუთხით მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შემლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან შესყიდვების ნაწილი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი. რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად იქონიებს გავლენას გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

_____

დირექტორი

ირაკლი ასანიშვილი

24 იანვარი, 2025

- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, გამომდინარე ამ მოთხოვნების სპეციფიკიდან და მისი მაღალი ლიკვიდურობიდან, მენეჯმენტი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ამ კუთხით მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან შესყიდვების ნაწილი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისაგან. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი. რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად იქონიებს გავლენას გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

დირექტორი

ირაკლი ასანიშვილი

24 იანვარი, 2025

ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

1. ჯგუფის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

ჯგუფის მშობელი კომპანია, შპს ატლას ჰოლდინგსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 30 იანვარს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქუჩა 55 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 404572789.

კომპანიის პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“, სომხეთის რესპუბლიკის „იურიდიული პირების, ცალკეული ქვედანაყოფებისა და იურიდიული პირების, ინდივიდუალური მეწარმეების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ" კანონის და კვიპროსის რესპუბლიკის „კომპანიების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს მშობელ საწარმოს კომპანიებისთვის, რომლებიც ძირითადად ოპერირებენ სათამაშო ბიზნესში (ერთად წოდებული როგორც ჯგუფი და ცალ-ცალკე როგორც ჯგუფის საწარმოები). ჯგუფის მიერ შეთავაზებული ძირითადი პროდუქტები არის: ონლაინ კაზინო, ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ peer-to-peer თამაშებიი, EWL (exchange sports betting) და ოფლაინ ტოტალიზატორი. ჯგუფი საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებ-გვერდის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით საქართველოში და www.adjarabet.am-ის მეშვეობით სომხეთში.

კომპანიის პირადპირი შვილობილია შპს ატლასი:

პირდაპირი შვილობილი კომპანიები	ძირითადი საქმიანობა	მფლობელობის წილი 2023 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობის წილი 2022 წლის 31 დეკემბერს	პირდაპირი მშობელი კომპანია
შპს ატლას*	ჰოლდინგური კომპანია	-	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
შპს ავიატორ*	ონლაინ კაზინოს და ტოტალიზატორის ოპერატორი საქართველოში	100%	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
შპს აჭარაფეი*	სწრაფი გადახდის მომსახურების პროვაიდერი საქართველოში	100%	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
შპს მოთამაშე*	ნაკადური გადაცემის („სტრიმინგი“) მომსახურების პროვაიდერი საქართველოში	100%	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
ლაბრანზა ლიმითედ*	ონლაინ ტოტალიზატორის ოპერატორი კვიპროსში	100%	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
შპს აკორა*	ჰოლდინგური კომპანია	100%	100%	შპს ატლას ჰოლდინგსი
შპს კომრა*	ჰოლდინგური კომპანია	100%	100%	შპს ატლას

				ჰოლდინგსი
შპს ადვანსდ სისტემსი**	ონლაინ კაზინოს და სპორტული თამაშების პლატფორმის მომწოდებელი საქართველოში	100%	-	შპს ატლას ჰოლდინგსი

სხვა არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები	ძირითადი საქმიანობა	მფლობელობის წილი 2023 წლის 31 დეკემბერს	მფლობელობის წილი 2022 წლის 31 დეკემბერს	პირდაპირი მშობელი კომპანია
Skygulf limited***	არა ოპერირებადი კომპანია	-	100%	შპს ავიატორ
Cabarco LLC	ონლაინ კაზინოს და ტოტალიზატორისოპერატორი სომხეთში	100%	100%	შპს აბარკო
Abarco LLC	ჰოლდინგური კომპანია	50%/50%	50%/50%	შპს აკორა/ შპს კომრა

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 6 აპრილს კომპანია შეერწყა თავის შვილობილ კომპანიას - შპს ატლასს, რის შედეგადაც შპს ატლას ჰოლდინგსი წარმოადგენს გადარჩენილ საწარმოს. შესაბამისად შპს ატლასის წილი შვილობილ კომპანიებში გადავიდა შპს ატლას ჰოლდინგსის მფლობელობაში.

**კომპანიის 100% წილის შესყიდვა მოხდა შპს ატლასის მიერ 2023 წლის 27 თებერვალს. 2023 წლის 6 აპრილს შერწმიყს შედეგად, შპს ადვანსდ სისტემსის 100% წილი გადავიდა შპს ატლას ჰოლდინგსში.

***2023 წლის 30 მაისს Skygulf limited შეწყვიტა ოპერირება.
ჯგუფი ოპერირებს სათამაშო ბიზნესში საქართველოსა და სომხეთის კანონმდებლობის შესაბამისად და მისი საქმიანობა სრულად რეგულირდება საქართველოში ჯგუფის საწარმო - შპს "ავიატორ"-ის სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა N19-06/252, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა N19-05/363 და N19-05/374-სა და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა N19-05/518-ის, N19-03/443-ის, N19-03/446-ის, N19-03/453-ის, N19-03/466-ის და N19-03/470-ის საფუძველზე. ხოლო სომხეთში ჯგუფის საწარმო - შპს "კაბარკო"-ს ლატარიის მოწყობის ლიცენზია VKH-024-ის და ინტერნეტ თამაშობების მოწყობის ლიცენზია ISHKH-005-ის საფუძველზე.

1.2 მფლობელები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „Flutter Entertainment PLC" („საბოლოო მაკონტროლებელი მხარე") და ოპერირებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში. საბოლოო მაკონტროლებელი მხარე წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, დანარჩენი ნაწილი კი - ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 29 იანვრიდან , Flutter Enterntainmet PLC-ის აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE), ხოლო დანარჩენი ნაწილი კი დარჩა კვოტირებული ლონდონის საფონდო ბირჟაზე. რაც შეეხება ირლანდიის საფონდო ბირჟას, Flutter Enterntainmet PLC-ს აქციების კვოტირება ამ უკანასკნელიდან მოხსნილია.

2. ჯგუფის საქმიანობა

ძირითადი პროდუქტები, რომლებსაც ჯგუფი სთავაზობს მომხმარებლებს ონლაინ კაზინო, peer-to-peer თამაშები, ონლაინ ტოტალიზატორი, EWL (exchange sports betting) და ოფლაინ ტოტალიზატორი.

(საქართველოში - შპს ავიატორი, ხოლო სომხეთში შპს კაბარკო). ასევე, ის სთავაზობს მომხმარებლებს სწრაფი გადახდების სერვისსაც (შპს აჭარაფეი).

“აჭარაბეთი” საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული, ინოვაციური, სრულყოფილი და დაცული სათამაშო პორტალია. ის იყო პირველი საქართველოში, ვინც მომხმარებლებს ფსონების ონლაინ განთავსების შესაძლებლობა მისცა. ბრენდი 1998 წელს შეიქმნა და დღემდე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს მომხმარებელთათვის შესანიშნავი მომსახურების უზრუნველყოფის გზით.

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოსა და სომხეთში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოსა და სომხეთში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.

3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას და საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

კონსოლიდირებული მონაცემებით საქართველოს ბაზარზე შპს ატლას ჰოლდინგსში შემავალი კომპანიების მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები ჯამურად წარმოადგენს 122 მილიონ ლარს.

ჯგუფის საქმიანობებისთვის საქართველოში ძირითადად რელევანტური გადასახადებია:

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი - ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავლიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2022 წლის განმავლობაში.

კაზინოს მოგების გადასახადი - ონლაინ კაზინოდან მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 2022 წლის განმავლობაში ფსონების სახით მიღებულ თანხასა და გაცემულ მოგებებს შორის სხვაობის (GGR) 10%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან კაზინოს მოგების გადასახადი 15%-მდე გაიზარდა.

მოგების გადასახადი - ძირითადი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება, ასევე კოდექსით გათვალისწინებული სხვა დაბეგვრის ობიექტები (მოგების გადასახადის ეგრეთ წოდებული ,,ესტონური მოდელი“ (მოქმედია 2017 წლის 1 იანვრიდან); მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%, ამასთან, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა გაიანგარიშება განაწილებული მოგების/დასაბეგრი კორექტირებების/გაწეული ხარჯის 0.85-ზე გაყოფით.

საშემოსავლო გადასახადი - დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით ანაზღაურების გაცემისას, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურებისას კომპანიები აკავებენ საშემოსავლო გადასახადს 20% ოდენობით;

არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი და 5%-იანი განაკვეთით, ამასთან გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი.

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. აღნიშნული მიზნისთვის კანონის საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე და ორგანიზებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოება და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო ამონაგები.

სათამაშო აპარატების მეშვეობით მოწყობილ აზარტულ ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ თამაშობის მომწყობი პირისგან, მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან, გატანილი თანხა, რომელიც 2023 წლის განმავლობაში იბეგრებოდა 2%-ით, ხოლო 2024 წლისა 1 იანვრიდან დაიბეგრება 5%-ით.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) - კომპანიები ახორციელებენ 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ოპერაციებს, ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ოპერაციებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრად.

ქონების გადასახადი - კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე კომპანია იხდის ქონების გადასახადს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1% ოდენობით.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები და სტრატეგია

ჯგუფში მუდმივად მიმდინარეობს სტრატეგიების შეფასებისა და შემუშავების პროცესი.
სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები, რომლებსაც ჯგუფი ითვალისწინებს არის არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი, და დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბება. მას შემდეგ, რაც ჯგუფი გახდა „Flutter Entertainment PLC“-ის შვილობილი, მისი გეგმებისა და სტრატეგიების არეალიც გაიზარდა და თანხვედრაში მოვიდა მშობელი კომპანიის მიზნებსა და ხედვასთან. ამ ეტაპზე, ჯგუფის ძირითად მიზანს წარმოადგენს მასში შემავალი, აჭარაბეთის ბრენდის სახელის ქვეშ ცნობილი კომპანიების ცნობადობის გაზრდა და ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების ათვისება.

5. ფინანსური მაჩვენებლები

5.1 კოეფიციენტები

ნლისათვის (ლარში'000)	კონსოლიდირებული				
	2023	2022	2021	2020	2019
შემოსავალი	751,173	706,247	639,290	405,939	269,590
სხვა შემოსავალი*	1,229	1,645	5,163	1,262	155
კორექტირებული EBITDA	197,448	202,539	223,730	114,432	80,543
კორექტირებული EBIT	150,084	155,795	178,917	61,399	23,805
წმინდა მოგება	71,407	118,050	158,806	51,393	20,006
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	206,889	198,211	212,609	116,040	81,768
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	33,527	25,211	32,056	16,052	14,189

წლისათვის (ლარში'000)	კონსოლიდირებული				
	2023	2022	2021	2020	2019
სულ აქტივები	599,903	588,080	546,672	510,876	545,561
სულ ვალდებულებები	919,619	941,385	396,832	467,797	427,524
სულ კაპიტალი	(319,716)	(353,305)	149,840	43,079	118,037

Ratios	კონსოლიდირებული				
	2023	2022	2021	2020	2019
შემოსავლის ზრდა	6%	10%	57%	51%	-
კორექტირებული EBITDA მარჟა	26%	29%	35%	28%	-
წმინდა მოგების მარჟა	10%	17%	25%	13%	-
საოპერაციო საქმიანობის კოეფიციენტი	28%	28%	33%	29%	-

გამოთვლები:

Adjusted EBIT გამოითვლება, როგორც სხვაობა საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალსა და ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთასა და ამორტიზაციას შორის.

Adjusted EBITDA გამოითვლება, როგორც ჯამი საოპერაციო საქმიანობით მიღებული წმინდა შემოსავლისა და ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის.

5.2 შემოსავლების სტრუქტურა

შვილობილების მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ონლაინ თამაშები, რომლებიც შემოსავლის 98%-ს წარმოადგენს არის შემდეგი : კაზინო და peer-to-peer თამაშები (მათ შორის ონლაინ პოკერი) , ონლაინ ტოტალიზატორი და EWL (exchange sports betting).

ონლაინ კაზინოს შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა მოგებების სახით, რაც გულისხმობს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის. ონლაინ კაზინოს შემოსავალი წარმოდგენილია მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით გაწეული პრომო აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

ონლაინ peer-to-peer თამაშებით მიღებული შემოსავალი (მათ შორის ონლაინ პოკერი) წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და იმ ტურნირებიდან მიღებულ საკომისიოებს, რომლებიც დასრულებული იყო სააღრიცხვო თარიღისთვის. Peer-to-peer თამაშებით მიღებული შემოსავალი ასევე წარმოდგენილია მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით გაწეული პრომო აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია დადებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით.

შემოსავალი EWL (exchange sports betting) , იგივე ტოტალიზატორის ფსონის გაცვლიდან მიღებული შემოსავალი, წარმოადგენს ტოტალიზატორის საქმიანობაზე გამომუშავებულ საკომისიოს. შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირადპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. საკომისიო აღიარდება იმ თარიღში, როდესაც მოვლენის შედეგი განსაზღვრულია.

ზოგადი ხასიათის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებს და წარმოდგენილია წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით.

5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა

რაც შეეხება გაყიდვების თვითღირებულებას, ის წარმოადგენს პირდაპირ და ცვლად ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლის გენერირების საქმიანობასთან და ძირითადად მოიცავს თამაშების პროვაიდერის ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადს, სპორტული ფსონების გადასახადებსა და მომხმარებელთა გადახდების დამუშავების საფასურს.

სეგმენტების ჭრილში ცვლილება გაყიდვების თვითღირებულებასა და შემოსავლებს შორის თანხვედრაშია ერთმანეთთან.

6. ჯგუფის ძირითადი რისკები

ჯგუფისთვის რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა ჯგუფს შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, გამომდინარე ამ მოთხოვნების სპეციფიკიდან და მისი მაღალი ლიკვიდურობიდან, მენეჯმენტი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ამ კუთხით მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ჯგუფი შემძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ჯგუფი დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან შესყიდვების ნაწილი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სამუშაო ვალუტისაგან. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი. რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად იქონიებს გავლენას გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

7. კომპანიის თანამშრომლები

2023 წლის ბოლოს შპს ატლას ჰოლდინგსში შემავალ ყველა კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 1,061 ადამიანი, ხოლო 2022 წელს - 1,168. თანამშრომლების გენდერული განაწილება ქალბატონებსა და მამაკაცებს შორის არის 48%-52%.

ჯგუფი ორიენტირებულია და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2023 წელს თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.

მენეჯმენტი მუდმივად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას და ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის პოზიციას.

_____

დირექტორი

ირაკლი ასანიშვილი

24 იანვარი, 2025

7. კომპანიის თანამშრომლები

2023 წლის ბოლოს შპს ატლას ჰოლდინგსში შემავალ ყველა კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 1,061 ადამიანი, ხოლო 2022 წელს - 1,168. თანამშრომლების გენდერული განაწილება ქალბატონებსა და მამაკაცებს შორის არის 48%-52%.

ჯგუფი ორიენტირებულია და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2023 წელს თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.

მენეჯმენტი მუდმივად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას და ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის პოზიციას.

დირექტორი

ირაკლი ასანიშვილი

24 იანვარი, 2025